წელიწადი პირველი. № 3. ფასი 10 კაპ. კვირა, 29 მარტი 1909 წ.

# იალქანი

ყოველკვირეული სამეცნიერო, საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

რედაქციის დროებითი ადრესი: Тифлисъ, Елисаветинская ул. № 17. Типографія М. Д. Кикнадзе.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, Г-ну Михаилу Давидовичу Кикнадзе, Елисаветинская ул. № 17.

1195



დედის სიხარული.

**შინაარსი**: სააღდგომო.—ჯვარცმული ქრისტეს აღსდგება. (ლექსი) ვ. რუხაძისა.—Materialismus Militans. გ. პ—სა.— სევ აღსდგება, (ლექსი) ვანელი ბაგრატასი.—მესაფლავეს, (ლექსი) იასასანისა.—წერილი პარიზიდან, არისტოდისა.—ეჰ, რათ დაჰქრიხარ ნიავო, (ლექსი) ბაბ.—ისა.—აღდგომა დღეს, (ლექსი) დ. თურდოსპირელისა.—წერილი გურიიდან, ჰ.-სა.—შინაური ამბები.—რუსეთი.—სპარსეთი.—ჩვეულების მსხვერპლი, (პიესა ბიძინა ყოჩიევისა) ქართლელი ოსისა.—პროვინცი.—სააღდგომო სართეველი.

## სააღდგომო

**თფილისი. 29 მარტი.**

.... ეს იყო მეტად შორეულ წარსულში. ადამიანთა საზოგადოებას ჯერ კიდევ არ შემორტყმოდა ის რკინის სალტე, რომელიც ერთი მხრისათვის კეთილდღეობის დამცველი გალავანია და მეორეთათვის საპყრობილის ცივი კედლები. ადამიანთა შორის ჯერ კიდევ არ გდებულიყო შურის, მტრობისა და ვაუტანლობისაგან დაწნული სოციალური კიბე, რომლის ერთი ბოლო მიბჯენილია ამა სოფლის ნებიერთა სხვა-პალატებზე, სადაც სიმდიდრესა და ფუფუნებას დაუსადგურებია, ხოლო მეორე კი დაყრდნობილია ქოხმახებსა და სარდაფ-ჯურღმულებზე, სადაც უკიდურესი სიღარიბე და ტანჯვა-ვაება გამეფებულა. მაშინ ადამიანებმა ჯერ კიდევ არ იცოდენ რასა ჰქვიან უფალი და მონა, ბატონი და ყმა ანუ მბრძანებელი და ქვეშევრდომი. ადამიანები, ძმურად ხელი ხელ ჩაკიდებულნი, თანხმო-

ბითა და ერთიანის გატაცებით ეწეოდენ საერთო საქმეს. საერთო ნაშრომით საერთოთვე, ძმურათვე სარგებლობდენ. საზოგადოების კეთილდღეობა პირდაპირ ნიშნავდა თვითეული მისი წევრის კეთილდღეობას და აგრეთვე უკუღმაც. ყველანი, მთელი საზოგადოება იყო თვითეული ადამიანისათვის და თვითეული—ყველასათვის. საერთო იყო ჭირიცა და ლხინიც.

ასეთი იყო პირვანდელი ერთობა, ანუ კომუნისტური საზოგადოება. ეს იყო მეტათ შორეულ, უხსოვარ წარსულში.

მაგრამ განვლო მრავალმა საუკუნოებმა და ჟამთა ბრუნვამ ფერი უცვალა პირველყოფილ საზოგადოებას; გადააბრუნა მთელი მისი საფუძველი: თვით საზოგადოების წიაღშივე თავი იჩინა ქონებრივმა უთანასწორობამ, რასაც ზედ მოჰყვა—როგორც შედეგი მიზეზს—ყველა დანარჩენი უთანასწორობანი; გონებრივი, ზნეობრივი, ფიზიკური და სოციალური უთანასწორობანი. ადამიანთა შორის გაჩაღდა არსებობისათვის ბრძოლა, სადაც სუსტნი შეუბრალებლათ ძირს ეცემიან და ისრისებიან და ძლიერნი კი გამარჯვებულნი გამოდიან, სწორეთ ისე, როგორც ეს ჰხდება ნადირთა და ყველა ცხოველებ შორის, იმ განსხვავებით კი, რომ უკანასკნელთა შორის გამარჯვებული უეჭველათ არის საუკეთესო ორგანიზმი, საზოგადოებაში კი გამარჯვებული—სოციალურათ ძლიერი, როგორც ადამიანი, შეიძლება ყოვლად მახინჯიც იყოს. დიახ, საზოგადოება გაიყო ორ მოწინააღმდეგე ბანაკათ. ერთნი საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიდან ისაკუთრებენ უდიდეს და საუკეთესო ნაწილს, მეორენი კი, ფიზიკურ შრომის მძიმე უღელში შებმულნი, იღებენ მხოლოდ იმას, რაც მათთვის გადმეტებათ ბატონებს... და ასე დამჩაგვრელები და დაჩაგრულები ათასგვარ სოციალურ რგოლებით გადაბმულნი ერთმანეთზე სასტიკ ბრძოლის ქარ-ცეცხლში, ვაითა და ვუით მოდიან დღევანდლამდე გრძელ საისტორიო გზაზე.

დაბეჩავებული მშრომელი ხალხი მარტოოდენ ოცნებაში-ღა პოულობს მოსვენებას. ჭირ-ვარამში გამოვლილ კერის პირას იგი ისმენს ზღაპრებს, რომ ოდესღაც ქვეყანაზე ყოფილა ბედნიერი ცხოვრება, ძმობა, ერთობა და სიყვარული. ყოფილა ოქროს საუკუნე. საზოგადოებაში სრულიად წარხოცილი პირვანდელი კომუნისტურ ცხოვრების სახე კვლავ ცოცხლობს მშრომელთა მეხსიერებაში. დროთა განმავლობაში იმ ცხოვრების უარყოფითი მხარეები, მაგ. უმწეობა ბუნების სტიქიურ ძალთა წინაშე, თანდათან იშლება და იგი უფრო წარმტაცი ფერადებით იმოსება. რამდენათაც ძლიერია წყურვილი კეთილ ცხოვრებისა, იმდენათ უფრო მეტის სხივოსნობით იმოსება საზღაპრო ქვეყანა. ამასთანავე ვითარდება რწმენა, რომ მშრომელ ხალხს ეღირსება ეს ბედნიერი, ნეტარი ცხოვრება. მაგრამ რა გზით? ბატონები ხომ მათთვის არავითარ სიკეთეს არ იმეტებენ. თვითონ კი ასე უღონონი და დაბეჩავებულნი არიან. მაშ განგება მოავლენს თავის სასწაულს, იგი აღხოცავს პირისაგან ქვეყნისა ყოველსავე მზაკვრობას, უსამართლობას და ტანჯულ-გვემულ ხალხს მიანიჭებს ბედნიერ ცხოვრებას. უეჭველათ მოვა მესსია და იგი შეიყვანს მათ „აღთქმულ ქვეყანაში“. ნეტავ შორი მანძილია იქამდის?... როდესაც, საღამოს ჟამზე, დამაშვრალი თავის ქოხის წინ თვალებს მიაპყრობდა ურიცხვ ვარსკვლავებით მოჭედილ ზეცას და იდუმალი ხმა ჩაეკითხებოდა მას თუ რა არის ადამიანი, საიდან მოდის და სად მიდის იგი, ანუ ექნება თუ არა დასასრული მის ტანჯვა-ვაებასო, ცის ლაჟვარდოვან სიღრმეში მოციმციმე ვარსკვლავები თითქოს ჩამოსძახოდენ: აი აქ, უთვალავ ციურ ლამპრებით გაჩირაღდნებულ სივრცეშია ის სანეტარო, ბედნიერი ცხოვრება, რომელზედაც შენ ოცნებებო...

ასეა თუ ისე, განგება მოახდენს თავისს სასწაულს.. მოვა მესსია...

„მოვედით ჩემდა ტვირთ მძიმენი და მაშვრალნი და მე განგისვენოთ თქვენ“!.. გაისმა ღვთიური სიტყვები და შეინძრა, შეტორტმანდა მშრომელთა მთელი ქვეყნიერობა... იესო ნაზარეველი ქადაგებდა ძმობა-ერთობას, თანასწორობას და სიყვარულს. იგი სასტიკათ ჰგმობდა მძლავრთ უკმეხობას, გაუმაძღრობას, ათას გვარ მზაკვრობასა და უსამართლობას. ტვირთ მძიმეთა და მაშვრალთ კი ამხნევებდა, რომ მათთვის განმზადებულია ბედნიერი ცხოვრება, როგორც ღირსეული ჯილდო ყველა მათ მიერ გადატანილ ტანჯა-ვაებისთვის, და რომ მათი მჩაგვრელები თავის დროზე მოიმკან შესაფერ სამაგიეროს. „უადვილელეს არს გაძვრეს აქლემი ყუნწსა ნემსისასა, ვიდრე მდიდარი შევიდეს სასუფეველსა ღვთისასა“... ეს სიტყვები გულის სიღრმემდე სწვდებოდა მშრომელ ხალხს. იგი დას-დასობით იკრიბებოდა იესოს გარშემო და გატაცებით ისმენდა ღვთიურ ქადაგებას... მაგრამ აი შეშფოთდენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი. მათ გადასწყვიტეს თავიდან მოეშორებინათ მეამბოხე ნაზარეველი... იესო ქრისტე მალე შეიპყრეს და ჯვარს აცვეს, როგორც უბრალო ავაზაკი.

ელვის სისწრაფით მოედო მშრომელ ხალხს ეს თავზარ დამცემი ამბავი და იგი შეძრწოლდა: როგორ, ნუ თუ მათ ხელიდან გამოსტაცეს ნუგეში და სასოება? ნუ თუ მოჰკლეს ის, ვინც ქადაგებდა სამართლიანობას და ჭეშმარიტებას, ვინც თითონვე იყო განხორციელებული სიმართლე და სიყვარული?! არა, ეს შეუძლებელია!... „ქრისტე მოჰკლეს, მაგრამ მან დათრგუნა სიკვდილი, შეანგრია ბჭენი ჯოჯოხეთისანი და აღსდგა მესამესა დღესა!... აღსდგა ქრისტე და განიბნინვნენ ყოველნი მტერნი და მოძულენი მისნი!... ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა!...“ ულოცავდენ და, სიხარულის ცრემლ მორეულნი, პირზე ჰკოცნიდენ ერთმანეთს „ტვირთ მძიმენი და მაშვრალნი“...

ცხოვრება კი თავის გზით მიდიოდა. განვლო მრავალმა საუკუნოებმა. განვითარდა ვაჭრობა-მრეწველობა. საზოგადოებრივ შრომის ნაყოფიერებამ შესანიშნავ სიმაღლემდის მიაღწია. შეძლებულთა და მდიდარ-

თა რიცხვში მოექცნენ ბევრი ისეთები, რომელთაც არც წარსულში ჰყოლოდათ ბრწყინვალე წინაპრები, არც ეხლა გააჩნდათ გვარიშვილობა ანუ რაიმე წარჩინებლი ადგილი სახელმწიფოში. თანდათან ფეხს იკიდებს ის აზრი, რომ ამ ქვეყანაზევე შესაძლებელია დამყარდეს ყველასთვის კეთილი ცხოვრება. საჭიროა მხოლოდ მოისპოს ის მრავალი ხელოვნური დაბრკოლებანი, რაიც თვით ადამიანსვე შეუქმნია თავისივე „უმეცრებით“. ასეთი განზრახვის სისრულეში მოყვანა, რა თქმა უნდა, შეიარაღებულ წინააღმდეგობას გამოიწვევდა გაბატონებულ და პრივილეგიებიან წოდებათა მხრივ. . ბრძოლის ბაირაღი ამართა თვითონ ბურჟუაზიამ და მანვე წააწერა ზედ:. „თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა!“,.. სისხლის მღვრელ რევოლიუციებმა ურიცხვი მსხვერპლი შეიწირა მშრომელი ხალხიდან, რადგან სწორედ ეს უკანასკნელი იბრძოდა ბარიკადებზე. „ძველი რეჟიმი“ მართლაც დაინგრა, და სრულიად ახალი მოქალაქობრივი ცხოვრება დამყარდა. მაგრამ მშრომელმა ხალხმა თვალი გაახილა თუ არა, დაინახა, რომ საპყრობილეთა შავ კედლებზე იყო წარწერილი: „liberté, egalité, fraternité“ (თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა). ე. ი. ლოზუნგი, რომელიც ბრძოლის ბაირაღზე იყო გამოსახული, ეხლა ამშვენებდა თვით იმ შენობას, რომელიც შეადგენდა უკანასკნელ სამყოფელს ცხოვრებიდან გარიყულ, არსებობისათვის ბრძოლაში გასრესილ, მის თანამოძმეებისათვის. მშრომელი ხალხი მოიცვა დრტვინვამ. გამწარებული იგი ხანდისმით ამა თუ იმ ქარხანაში ამტვრევდა მაშინებს ანუ ცეცხლს უკიდებდა რომელსამე ფაბრიკას. მაგრამ ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვისამებრ შეიარაღებული ბურჟუაზია ადვილათ იმორჩილებდა აჯანყებულ მუშათა ჯგუფებს, რომელთაც თვითონაც კარგათ არ იცოდენ რას სჩადიოდენ. მუშა ხალხის გულწრფელ მეგობრებმა ერთი ხანობა ამა ქვეყნის ძლიერთ მიმართეს ხვეწნა-მუდარით და სცადეს დაეთანხმებინათ საზოგადოებრივი ცხოვრება მოეწყოთ ისეთ საფუძველზე, სადაც ადგილი აღარ ექნებოდა ადამიანებისაგან ადამიანების მჩაგვრელობას. მაგრამ ამაოთ... ცხოვრება თავის გზით მიდიოდა.

მუშათა კლასში თანდათან განვითარდა ის აზრი, რომ მათ არსაიდან არავითარი წყალობის იმედი არ უნდა ჰქონოდათ...

„მუშა ხალხის განთავისუფლება თვითონ მუშებისავე საქმეა“... გაისმა დიდი მოძღვრის დიდი მცნება და იგი ნათლის სვეტათ აღიმართა მაშვრალთა კერაზე. შეინძრა მშრომელთა ქვეყანა და იწყო კვლევა-ძიება თავის გამოხსნის გზების საცნაურათ.. „ყველა ქვეყნების მუშებო, შეერთდით!“ გაისმა იმავე მოძღვარის მკვეთრი სიტყვები... მუშებმა იწყეს შეკავშირება ნაციონალურათ და ინტერნაციონალურათ. იგინი ბეჯითათ შეუდგენ თავიანთ ყოველ დღიურ ცხოვრების საკუთარ ძალ-ღონით გაუმჯობესებას და მოქალაქობრივ და პოლიტიკურ უფლებების მოპოვებას. მუშათა კლასი დღეს უკვე ძლიერი ფაქტორია თანამედროვე ცხოვრებისა. იგი მედგრათ წინ მიაბიჯებს. იმის ბრძოლის ბაირაღზე კვლავ წარწერილია: „თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა“. კვლავ უქრობელ ლამპრათ ანთებულია უკვდავი იმედი განთავისუფლებისა. ეხლა საბოლოოთ მკვდრეთით აღსდგა ჭეშმარიტება, რადგან მკვდრეთით აღსდგა თვითონ მშრომელი ხალხი. იგი უფრო და უფრო მეტის კლასიურ თვითცნობიერებით გამსჭვალული რეალურათ უახლოვდება იმ „აღთქმულ ქვეყანას“, რომლის ქვა-კუთხედია ერთობ, თანასწორობა და სიყვარული..

ჭეშმარიტათ აღსდგა!

---

## ჯვარცმული ქრისტეც აღსდგება.

—:—

ზამთარი იდგა. ბუნებას
გარს ერტყა ყინულთ ბორკილი
და მწარეთ კვნესდა, გმინავდა
მძიმე უღელ ქვეშ მოხრილი.

—

მაგრამ მოფრინდა ფრთაჭრელი
კვლავ გაზაფხული ცქრიალა,
იქ მთა აყვავდა, აქ ბარი,
ბულბულმაც ჩაანწკრიალა:

—

„ბუნება ადსდა, გაცოცხლდა,
აყვავდა ათას ფერათა...
ჯვარცმული ქრისტეც აღსდგება,
აღსდგება უეჭველათა!“

ვ. რუხაძე.

---

## MATERIALISMUS MILITANS*)

### პასუხათ ბ-ნ ბოგდანოვს.

### I.

(დასასრული პირველ წერილისა*)

აგრეთვე თქვენც, მოწყალეო ხელმწიფევ, ვერ შენიშნეთ მატერიალიზმსა და სოციალიზმს შორის არსებული აუცილებელი კავშირი. რატომ? და ამაზე უპასუხოს თვითონ მკითხველმა, მე კი გავახსენებ მხოლოდ იმას, რომ თქვენ, ჩვენ, მარქსისტებს, კიდეც გვისაყვედურებდით საფრანგეთის მატერიალიზმის იდეათა გავრცელებას, რადგან, თქვენის აზრით, ეს მოქმედება ჩვენს დროში არ შეესაბამება სოციალისტურ პროპაგანდის მიზნებს. თქვენ აი აქაც, როგორც ყოველთვის გჩვევიათ, ძალიან დაშორდით მეცნიერულ სოციალიზმის დამფუძნებელთ.

სტატიაში „Programm der blankistischen Kommune-Flüchtlinge“, რომელიც პირველათ დაიბეჭდა 1874 წ. გაზეთ „Volkstaat“-ს № 73-ში და რომელიც მერე მოთავსებული იყო კრებულში „Jnternationales aus dem Volkstaat“, ენგელსი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ გერმანელ სოციალ-დემოკრატ მუშებმა

*) იხ. „იალქანი“ № 2.

უკვე ანგარიში გაათავეს ღმერთთან და რომ ისინი ცხოვრობენ და აზროვნობენ, როგორც მატერიალისტები;*) ხსენებულ კრებულის 44 გვერდზე შენიშნავს, რომ ალბათ ასევეა საქმე საფრანგეთშიო. „და თუ არაო“,—დასძენს იგი—უფრო ადვილათ ეშველებოდა საქმეს, რომ საფრანგეთის მუშათა შორის მასსიურათ გავრცელებულიყო საფრანგეთის მატერიალისტური მშვენიერი ლიტერატურა წარსულის (ე. ი. მე-XVIII, ბ. ბოგდანოვო, გ. პ.) საუკუნისა, ის ლიტერატურა, რომელშიაც ფრანგთა ჭკუამ თავის უმწვერვალეს გამოხატულებას მიაღწია როგორც შინაარსით, ისე ფორმით, და რომელიც, თუ გავიხსენებთ მეცნიერების მაშინდელ მდგომარეობას,—თავისი შინაარსით დღევანდლამდე განუსაზღვრელ სიმაღლეზე დგას (dem Inhalt nach auch heute noch unendlich hoch steht), ფორმით კი კვლავ შეუდარებელია“.

როგორცა ხედავთ, ბ. ბოგდანოვო, ენგელსს არამც თუ არ ეშინია პროლეტარიატში გავცელდეს ის „ბუნებისმეტყველების ფილოსოფია“, რასაც თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ, უწოდებთ „ბურჟუაზიის წმინდა წყლის იდეოლოგების“ ფილოსოფიას, არამედ იგი პირდაპირ ურჩევს საფრანგეთის მუშათა შორის ამ იდეათა მასსიურ გავრცელებას იმ შემთხვევაში, როცა ეს მუშები ჯერ კიდევ არ გამხდარან მატერიალისტებად. ჩვენ, მარქს-ენგელსის რუსი-მიმდევარნი, სასარგებლოთა ვთვლით, რომ ეს იდეები ვრცელდებოდენ რუსეთის პროლეტარებს შორის, რომელთა შეგნებული წარმომადგენელნი, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ყველანი არ დასდგომიან მატერიალისტურ თვალთახედვის ისარს. რადგან ამ იდეათა გავრცელება მე სასარგებლოთ მიმაჩნია, ამიტომაც ამ ორის წლის წინათ ვფიქრობდი რუსულ ენაზე გამომეცა მატერიალისტური ბიბლიოთეკა, სადაც პირველ ადგილს დაიჭერდენ თარგმანები საფრანგეთის მე-XVIII საუკუნის მატერიალისტების თხზულებათა, რომელნიც მართლაც შეუდარებელნი არიან ფორმით და დღევანდლამდე მეტის-მეტათ საგულისხმონი შინარსით. ეს საქმე არ მოხერხდა. ჩვენში შეუდარებლათ უფრო ადვილათ ვრცელდებიან თანამედროვე ფილოსოფიის ის მრავალ რიცხვოვან სკოლათა ნაწარმოებნი, რომელთაც ენგელსი ულმობელ დაცინვით საერთო სახელად მათხოვართა ეკლექტიურ შექამანდს უწოდებდა, ვიდრე თხზულებანი, რომელნიც ასე თუ ისე მატერიალიზმს ეხებიან. აი ერთი ცხადი მაგალითი: ჩემ მიერ რუსულად გადათარგმნილი და ყოველ მხრივ შესანიშნავი თხზულება ენგელსისა „ლიუდვიგ ფეიერბახი“ ძალიან ცუდათ იყიდება. ეხლა ჩვენი მკითხველი საზოგადოება გულგრილათ ეკიდება მატერიალიზმს, მაგრამ ჯერ ნუ გაგიხარდებათ, ბ. ბოგდანოვო. ეს ცუდი ნიშანია; ეს გვიჩვენებს, რომ ჩვენ მკითხველ საზოგადოებას ისევე ჰკიდია გრძელი კონსერვატიული ნაწნავი, ასე გასინჯეთ, იმ ხანებშიაც კი, როცა იგი, როგორცა სჩანს, აღვსილია მეტად გაბედულ და „მოწინავე“ თეორეტიულ „მისწრაფებებით“. რუსეთის აზროვნების ისტორიული უბედურებაც ის არის, რომ თვით უმწვერვალეს რევოლიუციონურ აღფრთოვანების ხანაშიაც მეტათ იშვიათად აღწევს თავს დასავლეთის ბურჟუაზიულ აზრის ზე-გავლენას, იმ აზრის, რომელიც არ შეიძლება არ იყოს კონსერვატიული იმ საზოგადოებრივ ურთიერთობის დროს, როგორიც დღეს არსებობს დასავლეთ ევროპაში.

საფრანგეთის მე-XVIII საუკუნის განმანთავისუფლებელ მოძრაობის ცნობილი რენეგატი ლაგარპი თავის წიგნში „Reputation du livre de l'esprit“ ამბობს, რომ, როდესაც მან პირველათ გაილაშქრა ჰელვეცის წინაამდეგ, მისმა კრიტიკამ ფრანგთა შორის თითქმის ვერავითარი თანაგრძნობა ვერ მოიპოვა. შემდეგში კი, ამბობს იგივე, სულ სხვანაირათ შეხედეს მას. თითონ ლაგარპი ამას იმითა ჰხსნის, რომ მისი პირველი გალაშქრება ეკუთვნოდა რევოლუციის წინა ეპოქას, როდესაც ფრანგ მკითხველ საზოგადოებას ჯერ კიდევ პრაქტიკაზე ნანახი არა ჰქონდა თუ რა საშიშ შედეგებს იძლევა მატერიალისტურ შეხედულებათა გავრცელება. რენეგატი ამ შემთხვევაში მართალს ამბობს. საფრანგეთის ფილოსოფიის ისტორია, დაწყებული დიდი რევოლუციიდან, მეტად აშკარად ჰმოწმობს, რომ ამ დროის ანტიმატერიალისტურ ტენდენციებს ასაზრდოებენ მფარველი ინსტიტუტები ბურჟუაზიისა, რომელსაც ძველ რეჟიმთან უკვე გაუთავებია ანგარიშები, მიუტოვებია წინანდელი რევოლუციონური გატაცებანი და გაკონსერვატორებულან. და ეს ცოტათ თუ ბევრათ ითქმის არა მარტო საფრანგეთზე. როცა თანამედროვე ბურჟუაზიის იდეოლოგები უდიდესის ზიზღით უცქერიან მატერიალიზმს, დიდი გულუბრიყვილო უნდა იყოს ადამიანი, რომ ვერ შენიშნოს თუ რა მხდალი პირფერობა იმალება ამ უდიდეს ზიზღში. ბურჟუაზია გაურბის მატერიალიზმს, როგორც რევოლუციონურ მოძღვრებას, რომელიც პროლეტარიატს ასე კარგათ აცლის თვალთაგან იმ პირბადეს, რის საშუალებითაც არა მკითხე მზრუნველნი ცდილობენ შეაჩყრონ პროლეტარიატის სულიერი განვითანება. და რომ ეს ნამდვილათ აგრეა, ეს ყველაზედ უკეთ დაგვანახვა იმავე ენგელსმა სტატიაში, „Über histoischen Materialimus,“ რომელიც დაიბეჭდა 1892—1893 წ.წ. Neue Seit-ს №№ 1 და 2-ში და პირველად კი გამოვიდა წინასიტყვაობის სახით, რაიც დართული ჰქონდა სახელოვან ბროშურის „მეცნიერულ-სოციალიზმის განვითარები“-ს ინგლისურ თარგმანს, ენგელსი, მიმართავს რა ინგლისელ მკითხველს, მატერიალისტურ თვალსაზრისით განმარტავს იმ ფაქტს, თუ ინგლისელ ბურჟუაზიის იდეოლოგებს რატომ არ უყვართ მატერიალიზმი.

ენგელსი უჩვენებს, რომ მატერიალიზმი, რომელსაც არისტოკრატიული ხასიათი ჰქონდა ჯერ ინგლისში და შემდეგ საფრანგეთში, მალე ამ უკანასკნელ ქვეყანაში

*) Avis (საგულისხმოთ) თქვენა და ბ. ბოგდანოვო, და თქვენ თანამოაზრე ახალ რელიგიის დამაარსებელ ნეტარ ანატოლისათვის.

გადიქცა რევოლიუციონურ დოქტრინათ „და ეს იმ ზომამდე, რომ დიდი რევოლუციის დროს ამ მოძღვრებამ, წამოყენებულმა ინგლისის როიალისტების მიერ, ფრანგ რესპუბლიკანებს და ტერორისტებს მისცა თეორეტიული ბაირაღი და უკარნახა ადამიანის უფლებათა გამოცხადება“. მარტო ესეც კი საკმაო იყო მოღრუბლულ ალბიონის „პატივცემულ“ ფილისტერთა დასაფრთხობათ. „რამდენათ უფრო—განაგრძობს ენგელსი — მატერიალიზმი ხდებოდა საფრანგეთის რევოლუციის Credo-თ, (მრწამსათ) იმდენათ ღვთის მოშიში ინგლისელი ბურჟუა უფრო მაგრად ებღაუჭებოდა თავის რელიგიას. განა ტერორის ეპოქამ პარიზში არ დაგვანახვა რა ხდება მაშინ, როცა ხალხი ხელს იღებს რელიგიაზე? და რამდენათაც მატერიალიზმი უფრო ვრცელდებოდა საფრანგეთიდან მეზობელ ქვეყნებზე და იქ მაგრდებოდა მონათესავე თეორეტიულ მიმდინარეობით; რამდენათაც მატერიალიზმი და თავისუფალი აზროვნება კონტინენტზე ხდებოდა განათლებულ ადამიანის ნიშნობლივ თვისებად, იმდენათ ინგლისის საშუალო კლასი უფრო მაგრათ ებღაუჭებოდა თავის მრავალგვარ რელიგიოზურ რწმენათ. ეს სარწმუნოებანი დიახაც განირჩეოდენ ერთი მეორისაგან, მაგრამ ყველანი სრულიად რელიგიოზურ ქრისტიანული სარწმუნოებანი იყვენ“.

ევროპის შინაგან ცხოვრების შემდეგმა ისტორიამ, აღსავსემ კლასთა ბრძოლით და პროლეტ. შეიარაღებულ აჯანყებით, ინგლისელი ბურჟუაზია კიდევ უფრო მეტათ დაარწმუნა, რომ რელიგია, როგორც ლაგამი, აუცილებლათ საჭიროა ხალხისათვის. მაგრამ ეხლა ამ აზრს მასთან ერთად დაადგა მთელი კონტინენტის ბურჟუაზია. „მართლაც, ამბობს ენგელსი, puer robustus დღითი დღე უფრო მეტათ ხდებოდა militiosus *) ასეთ უკიდურესობაში ფრანგ და გერმანელ ბურჟუას რაღა დარჩენოდა იმის მეტი თუ არ ის, რომ უარეყო თვისი თავისუფალი აზროვნება? მათ თავი ანებეს დაცინვას, ღვთისნიერი სახე მიიღეს და პატივისცემით იწყეს ლაპარაკი ეკლესიაზე, მის მოძღვრებაზე, მღვდელ-მოქმედებაზე და, ასე გაშინჯეთ, თითონაც იწყეს საეკლესიო წესების შესრულება, რამდენათაც ამას საჭიროება მოითხოვდა. ფრანგი ბურჟუები პარასკევობით ხორცს აღარა სჭამდენ, ხოლო გერმანელი ბურჟუები თავიანთ საეკლესიო სკამებზე იყვენ მიკერებულნი, რათა მოესმინათ გაუთავებელი, პროტესტანტური ქადაგებანი. იგინი თავიანთ მატერიალიზმით სახტათ დარჩენ. „რელიგია დაცულ უნდა იქმნეს ხალხასათვის.“—ასეთი იყო უკანასკნელი და ერთად ერთი საშუალება საზოგადოების სრულ დაღუპვიდან გადასარჩენათ.

აი, სწორეთ მაშინ დაიწყო,—დავსძენ მე,—„კანტისაკენ დაბრუნებასთან ერთად ის რეაქცია მატერიალიზმის წინააღმდეგ, რომელიც დღევანდლამდე ახასიათებს ევროპიულ აზრის მიმდინარეობას საზოგადოთ და ფილოსოფიისას—კერძოთ. შენანებული ბურჟუა ცოტათ თუ ბევრათ ფარისევლურათ მიუთითებს, რომ ეს რეაქცია საუკეთესო მაჩვენებელია ფილოსოფიურ „კრიტიკის“ გამარჯვებისა. მაგრამ ჩვენ, მარქსისტებს, რომელთაც კარგათ ვიცით, რომ აზრის განვითარების მსვლელობას საზღვრავს ცხოვრების განვითარების მსვლელობა, ადვილათ ვერ აგვაცდენენ პოზიციის ამგვარ ცოტათ თუ ბევრათ ფარისევლურ მითითებით. ჩვენ შეგვიძლია გამოვიცნოთ ამ რეაქციის სოციოლოგიური ეკვივალენტი; ჩვენ ვიცით, რომ იგი გამოიწვია რევოლიუციონურ პროლეტარიატის მსოფლიო ისტორიულ სცენაზე გამოსვლამ. და, რადგან ჩვენ არავითარი საფუძველი არა გვაქვს გვეშინოდეს რევოლიუციონურ პროლეტარიატისა, რადგან, პირიქით, დიდათ საპატიოთ მიგვაჩნია მის იდეოლოგათ ყოფნა, ამიტომ ჩვენ ხელს არ ვიღებთ მატერიალიზმზე, პირიქით, ჩვენ მას ვიცავთ ბურჟუაზიულ მხდალ მიდგომილ კრიტიკისაგან“.

ეხლახან აღნიშნულ მიზეზს, თუ რისთვის არის ბურჟუაზია მატერიალიზმისადმი ზიზღით აღვსილი, უნდა დავსძინოთ კიდევ მეორე მიზეზი, რომელიც იფარება ბურჟუაზიის, როგორც დღევანდელ კაპიტალისტურ საზოგადოებაში გაბატონებულ კლასის, იმავ პსიხოლოგიაში. ყოველი კლასი, რომელიც აღწევს გაბატონებას, ბუნებრივათ მიდრეკილია თვით კმაყოფილებისაკენ. ბურჟუაზია კი, გაბატონებული იმ საზოგადოებაში, რომელიც დაფუძნებულია საქონლის მწარმოებელთა ურთიერთ შორის გამწვავებულ კონკურენციაზე, ბუნებრივათ მიდრეკილია ისეთ თვითკმაყოფილებისაკენ, რაც მოკლებულია ალტრუიზმის ყოველგვარ ნიშანწყალს. ბურჟუაზიის ყოველ ღირსეულ წარმომადგენელში მისი ძვირფასი „მე“ სავსებით ჰფარავს ყველა სხვა მისწრაფებათ, ფიქრსა და ზრახვათ. ზუდერმანის ერთ ნაწარმოებში (Das blumenboot, II act, 1 sc.) ბარონესა ერფლინგენი შემდეგის სიტყვებით არიგებს თავის უმცროს ქალს: „ჩვენი დროის ადამიანები იმიტომ არსებობენ ქვეყნად, რომ ყველაფრისაგან შექმნან ერთგვარი მხიარული პანორამა, რომელიც მიდის ანუ, უკეთ, გვეჩვენება, რომ მიდის ჩვენს თვალწინ“. სხვა სიტყვებით, ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანებმა, როგორიც იყო ეს ბრწყინვალე ბარონესსა—აქვე უნდა ვთქვათ,

---

*) ეს სიტყვები გადაკვრით ცხება ჰობსის აზრს ხალხზე: puer robutus et militiosus (ძლიერი და ბოროტი ყმაწვილი). აქვე შევნიშნავ, რომ თვ თ ჰობსის დროსაც კი მატერიალიზმი სრულებითაც არ იყო მოკლებული რევოლიუციონურ ხასიათს. მონარქიის იდეოლოგებს მაშინაც კარგათ ესმოდათ, რომ სულ სხვა საქმეა მონარქია წყალობითა ღვთისათა და სრულიად სხვა საქმეა მონარქია ჰობსის თანახმათ. მატერიალიზმის რევოლიუციონური როლი ანტიკურ საზოგადოებაში აღნიშნული იყო ჯერ კიდევ ლუკრეციის მიერ, რომელიც ეპიკურის შესახებ მჭევრმეტყველურათ სწერდა: „როდესაც ადამიანთა სიცოცხლე დედამიწაზე ულმობელათ შეხუთული იყო რელიგიით, რომელიც ზეციდან აჩვენებდა თავის თავს და საშინელის სახით ემუქრებოდა მომაკვდავთ: — მაშინ ბერძენმა, კაცმა მომაკვდავმა. პირველათ გაჰბედა პირდაპირ შეეხედნა იმისთვის და წინ აღდგომოდა; იგი, რომელიც ვერ დაიმორჩილეს ვერც ღმერთების ტაძრებმა, ვერც ელვამ, ვერც ზეცის მრისხანე ჭექა-ქუხილმა და სხვა“. ათინ ს საზოგადოებაში რომ იდეალიზმი მფარველობითი როლს თამაშობდა, ამას ლანგეც კი აღიარებს.

რომ ეს ქალბატონი ნამდვილ ბურჟუაზიულ შთამომავლობისა იყო—ისე უნდა აღზარდონ თავიანთი თავი, რომ ყველაფერს, რაც კი ქვეყნიერობაზე ჰხდება, უცქეროდენ მხოლოდ და მარტო თავიანთ პირად, ცოტათ თუ ბევრათ სასიამოვნო განცდათა (переживаніи) თვალსაზრისით. ზნეობრივი სოლიპსიზმი—აი ის ორი სიტყვა, რომელიც საუკეთესოდ ახასიათებს თანამედროვე ბურჟუაზიის ყველაზე უფრო ტიპიურ წარმომადგენელთა სულიერ განწყობილებას. საკვირველი არაფერია, თუ ამგვარ სულიერ განწყობილების ნიადაგზე ამოცენდებიან სისტემანი, რომელნიც არაფერს სცნობენ გარდა სუბიექტიურ „განცდათა" და რომელნიც უსათუოდ მიადგებოდენ თეორეტიულ სოლიპსიზმს, იმათ (სისტემათ) რომ ამისაგან არ იხსნიდეს ულოღიკობა მათის დამფუძნებლებისა.

შემდეგ წერილში, მ. ხ., დაგანახვებთ, თუ რა გასაშტერებელ ულოღიკობის საშუალებით იხსნიან თავს სოლიპსიზმისაგან თქვენი საყვარელი მახი და ავენარიუსი. იქვე დაგანახვებთ, რომ თქვენთვისაც,—რომელიც იმათგან ზოგიერთ რამეში განცალკევებას სასარგებლოთა სცნობთ,—არ არსებობს სოლიპსიზმისაგან თავის დასახსნელათ სხვა საშუალება თუ არ მოღალადე უაზრობა. აქ კი უნდა გავათავო იმის განმარტება, თუ როგორია ჩემი დამოკიდებულება მე-XVIII საუკუნის საფრანგეთის მატერიალიზმთან.

მე ენგელსზე ნაკლებ არა ვარ აღტაცებული ამ მდიდარ, ამ სხვა და სხვა გვარ შინაარსიან და ბრწყინვალე ფორმიან მოძღვრებით*), მაგრამ მე ისე, როგორც ენგელსსაც, მესმის, რომ მას შემდეგ, რაც ეს მოძღვრება ძლიან წინ წავიდა და დღეს ჩვენ აღარ შეგვიძლიან მივილოთ ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური შეხედულებანი თუნდ იმავ ჰოლბახისა. მე არამც თუ ხელს ვაწერ იმ კრიტიკულ შენიშვნებზე, რასაც ენგელსი სწერს თავის „ლიუდვიგ ფეიერბახში" საფრანგეთის მატერიალიზმის შესახებ, არამედ — როგორც მოგეხსენებათ — მე ეს კრიტიკული შენიშვნები კიდევაც შევავსე წყაროებით და გავამტკიცე დამოწმებით. ამიტომაც მკითხველს, ვინც იცის ეს საქმესაც მიუდგომელათ უყურებს, მხოლოდ გაეცინება იმის გაგონებაზე, ვითომ მე, ვიცავ რა მატერიალიზმს, ვიცავ მე-XVIII საუკუნის ბუნებისმეტყველების ფილოსოფიას წინააღმდეგ მე-XX საუკუნის ამავე ფილოსოფიისა. („Анализъ Ощущеній"-ს რუსულ თარგმანის თქვენი წინასტყვაობა). მკითხველს უფრო მხიარულად გაეცინება, როცა გაახსენდება, რომ ჰეკელიც აგრეთვე მატერიალისტია. ან იქნებ, მ. ხ., თქვენ ბრძანოთ, რომ არც ჰეკელი სდგას ჩვენი დროის ბუნებისმეტყველების სიმაღლეზედ? ეტყობა, ამ მხრივ, თქვენს ფანჯარაში მხოლოდ იმდენი სინათლე შემოდის, რაც მახი და მისი თანამოაზრენია.

ის კი მართალია, რომ მე-XX საუკუნის ნატურალისტებ შორის ბევრი არ მოიპოვება ისეთი, რომელიც, ჰეკელივით, მატერიალისტურ თვალთახედვის ისარზე იდგეს, მაგრამ ეს ჰეკელის წინააღმდეგ კი არა, მის სასარგებლოთ ლაპარაკობს, რადგან ეს გვიჩვენებს, რომ ჰეკელს შესწევდა ძალა არ მისცემოდა იმ ანტი-მატერიალისტურ რეაქციას, რომლის სოციოლოგიური ეკვიკალენტი ზემოთ განვმარტე ენგელსის დახმარებით. ბუნებისმეტყველება აქ არაფერ შუაშია, მ. ხ.: აქ მასში არ არის ძალა.

მაგრამ რაც უნდა იყოს და როგორც უნდა იყოს საქმე ბუნებისმეტყველების შესახებ, ის კი დღესავით ნათელია, რომ თქვენ, ვითარცა მახის ფილოსოფიის დამცველი, სრულებითაც არ უნდა იჩემებდეთ მარქს-ენგელსის მიმდევრობას. აკი მახი („Анализъ Ощущеній"-ის რუსულ თარგმანის წინასიტყვაობაში და რუსულ ტექსტის 292 გვერდზე) თვითონვე აღიარებს თავის ნათესაობას იუმთან. იუმზე კი ენგელსი, გახსოვთ, რას ამბობს?

ის ამბობს, რომ როცა გერმანელი ნეოკანტიანელები ცდილობენ აღადგინონ კანტის შეხედულებანი და ინგლისელი აგნოსტიკები კიდევ ცდილობენ აღადგინონ იუმის შეხედულებანი, „მეცნიერებისათვის ეს წარმოადგენს უკუღმა სვლას"*) (კურსივი ჩემია, გ. პ.) ეს მგონია, ძალიან ნათლათ არის ნათქვამი და ეს არა მგონია მოგეწონოთ თქვენ, რომელიც გვარწმუნებთ, რომ შესაძლებელია და უნდა კიდეც მივდიოდეთ იუმ-მახის ბაირაღ ქვეშ.

საზოგადოთ, ბ. ბოგდანოვო, უბედურ საათზე მოგივიდათ აზრათ მარქს-ენგელსის სკოლიდან გამოგერიცხეთ და ჰოლბახთან გაგეგზავნეთ სასწავლებლათ. ამით თქვენ, — ჭეშმარიტების წინააღმდეგ შეცოდებასაც რომ თავი დავანებოთ, — გამოიჩინეთ სოციარი საპოლემიკო უხერხულობა.

აი, თქვენ თვითონ დასტკბით. თქვენა ბრძანებთ: „ამხ. ბელტოვის სიტყვით, მატერიალიზმის საფუძველსა და არსებას შეადგენს ის იდეა, რომ „ბუნება" „სულთან" შედარებით პირვანდელია! ეს განმარტება ძალიან ფართოა და მას ამ შემთხვევაში თავისი უხერხულობაც აქვს.**).

ჯერ-ჯერობით დავანებოთ თავი უხერხულობას და გავიხსენოთ, რომ თქვენ ამ სტრიქონებსა სწერთ სწორედ იმ თქვენ განცხადების შემდეგ, რომ მე მატერიალიზმს ვასწავლი „მარქსის სახელით და ჰოლბახის ციტატების შემწობით". ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჩემი განმარტება მატერიალიზმის „არსებისა და საფუძვლისა" ნასესხებია ჰოლბახიდან და ეწინააღმდეგება იმას, რის უფლებაც მე მაქვს ვიქადიგო მარქსის სახელით. მერე როგორ ესმოდათ მატერიალიზმი მეცნიერულ სოციალიზმის დამფუძნებელთ?

---

*) ვამბობ სხვა და სხვა გვარიო, რადგან საფრანგეთ-ს მე-XVIII საუკუნის მატერიალიზმში იყო რამდენიმე, მართალია ერთმანეთის მონათესავე, მაგრამ მაინც სხვა და სხვა მიმდინარეობა.

*) Людвигъ Фейербахъ. С.-П.Б. 1906 გვ. 43.

**) Эмпиріомонизмъ, книга 3-ья, стр. 11.

ენგელსი სწერს, რომ იმ საკითხის შესახებ, თუ რა ურთიერთობა არსებობს აზროვნებას (бытіе) შორის, ფილოსოფოსნი გაიყვენ ორ დიდ ბანაკათ: „ისინი, რომელნიც ამტკიცებენ, რომ სული არსებობდა ბუნების წინათ და რომელნიც, მაშასადამე, ასე თუ ისე აღიარებდენ ქვეყნიერების შექმნას... შეადგენდენ იდეალისტურ ბანაკს. ხოლო ისინი, რომელნიც ბუნებას სთვლიდენ ძირითად პრინციპათ, ემხრობოდენ მატერიალიზმის სხვა და სხვა სკოლას.“*).

ეს ხომ იგივე არის, რასაც მე ვამბობ „მატერიალიზმის არსებას და საფუძველზე“! აქედან ის გამომდინარეობს, რომ მე, ამ შემთხვევაში მაინც, სრული უფლება მქონია მატერიალიზმს ვქადაგობდე მარქს-ენგელსის სახელით, ჰოლბახის დაუხმარებლივ.

მაგრამ დაუფიქრდით თუ არა, მ. ხ., რა მდგომარეობაში აგდებთ თქვენ თავს, როცა ილაშქრებთ იმ განმარტების წინააღმდეგ, რომელიც მე მივეცი მატერიალიზმს? თქვენ გნებავდათ გამოგელაშქრათ ჩემ წინააღმდეგ, ნამდვილათ კი გაილაშქრეთ მარქსისა და ენგელსის წინააღმდეგ. თქვენ გნებავდათ მე გამოგერიცხეთ ამ მოაზროვნეთა სკოლიდან, ნამდვილათ კი აღმოჩნდა, რომ თქვენ გამოდიხართ, ვითარცა „კრიტიკოსი“ მარქსისა, ეს, რასაკვირველია, არ არის დანაშაული, მაგრამ ეს არის ფაქტი და ისეთი ფაქტი, რომელიც ამ შემთხვევაში მეტათ საგულისხმოა. საზოგადოთ ამას მე იმიტომ კი არ ვლაპარაკობ, რომ თქვენ გდევნოთ, არამედ იმიტომ, რომ განვმარტოთ თქვენ, ე. ი. დავანახო ჩემს მკითხველებს, თუ სახელდობრ რომელ ბრძენთა კატეგორიას ეკუთვნით.

იმედი მაქვს, ეს ეხლა მათთვის უკვე საკმაოთ ცხადია. მაგრამ მე მაინც უნდა გავაფრთხილო ისინი: ის, რაც აქამდე ვიხილეთ თქვენში — ეს მხოლოთ ყვავილებია; ნაყოფს ვიგემებთ შემდეგ წერილში, სადაც ჩვენ გავისეირნებთ თქვენს ბაღჩაში, რომელიც ჩემის შემეცნების თეორიის გასაკრიტიკებლად გაგიშენებიათ. იქ ვიპოვით საამო გემრიელ ნაყოფს.

ეხლა კი იძულებული ვარ გავათავო. ნახვამდის, მ. ხ. გფარავდესთ მცა თქვენ მშვენიერი ღმერთი ბ. ლუნაჩარსკისა!

გ. პ

*) იგივე 41.




ჯვარცმულისადმი თაყვანისცემა.

# ისევ აღსდგება!...

გოლგოთას მწვერვალს მწვანე ქუდაფა,
უცხოთ ნაქარგი წამოეხურა;
ჩირგვებიც, მწვანე ფოთლით ბურული
ქუდის მაგივრათ თავზე ეხურა...

დილის ნამი, ზედ ნაპკურები,
ათას ნაირათ ელვარ-ბზინავდენ,
თითქოს ცრემლები განთიადისა,
ვით მარგალიტი ობლათ ბრწყინავდენ...

ბრწყინვალე სხივი მხოლოთ გოლგოთას,
ვით გულის სატრფოს ჩახუტებოდა,
და ძირს ბარი კი, ბურუსიანი,
გულის ფანცქალით ელოდებოდა...

უცებ შეინძრა წმინდა მწვერვალი,
გაამძიგძიგა შეშინებულსა
და ცვარსა წმინდას, ფვავილთ საყურეს,
ძირს პირი უყო, ზედ დანამულსა!..

ჰოი, რას ხედავს: მის ქუდაფაზე
ჯალათმა ბოძი უნდა დასხოს;
მისი სიწმინდე, ფვავილთ კოკორი
ადამის სისხლით უნდა შეღებოს!..

მერე ისიც ვინ?— დარიბთ მეუფე,
ქრისტე, იესო ნაზარეველი!
მჩაგვრელთა მტერი, შეუპოვარი
და ჩაგრულების მუდამ მფარველი...

მაგრამ გოლგოთამ ვერ შესძლო ბრძოლა,
ქრისტე ჯვარს აცვეს, ჩაჭქლეს მის ნება
და მდელო მწვანე, წმინდა მწვერვალი,
წმიდანის სისხლმა წითლათ შეღება!..

—

გოლგოთამ ეს-და ჩაიდუდუნა:
„ტყვილათ გგონიათ, ის არ მოკვდება,
ვინც ხალხის გულში ძეგლი დაიდგა,
ის მესამე დღეს ისევ აღსდგება“!

ვანელი ბაგრატა.

# მესაფლავეს

ბლოგის ძაძა გაიშალა,
ირგვლივ ისმის კვნესის ხმები...
ქრისტე აღსდგა!—მესაფლავევ,
ჩამორეკე მაგ ზარები!
დე სოფელმა დაღვრემილმა
გაზაფხულის იგრძნოს ძალა!—
ის კვლავ სცოცხლობს, წმიდა რწმენას
ვინც სიცოცხლე ანაცვალა!
სულ ერთია--დღეს რომ სოფელს
ატყობინებ აღდგომასა,
ხვალ კვლავ სიკვდილს შეახვედრებ
მაგ შავ ზარათ გმინვის ხმასა!
და ერთი დღით ნუ გეზარვის,
მესაფლავევ, ჩამოჰკარი!
მეგობარნო, ქრისტე აღსდგა,
ტანჯულთ მხსნელი, ჩაგრულთ ფარი!...

იასამანი.

# წერილი პარიზიდან

—:—

**ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა გაფიცვა. — გაფიცვის გამარჯვებით გათავება.**

პარიზის ქუჩებსა და მოედნებზე არაჩვეულებრივი მოძრაობაა. ყველას სახეზე აღელვება და მკრთალი, მიბინდული მზრუნველობა იხატება. ზოგი მიიჩქარის, ზოგი გაზეთს ჩასცქერის, წესიერების დამცველთა რიცხვი მრავლდება, კედლებზე გაკრულ უზარ-მაზარ აფიშებს ხალხი ჭიანჭველასავით ეხვევა გარს. აფიშები აუწყებს მოქალაქეთ, რომ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე-მოსამსახურენი გაიფიცნენ. გაიფიცნენ, რადგან მათი ნივთიერი მდგომარეობა და შრომის პირობები ერთობ აუტანელია, მათი მოქალაქური უფლებები ფეხქვეშ გათელილია მთავრობის მიერ. გაფიცულნი მოითხოვენ: 1) ფოსტა-ტელტგრაფისა და შრომის მინისტრის თანაშემწის (sous-secretaire) სიმიანის სამსახურიდან გასვლას; 2) 1884 წ-ს კანონის ძალაში დარჩენას მათ სინდიკატების შესახებ და მათ უფლებების უზრუნველყოფას; 3) დაპატიმრებულ ამხანაგების განთავისუფლებას და მათ უფლებაში აღდგენას. აფიშები მიმართავენ პარიზსა და მთელი საფრანგეთი მოქალაქეთა ჰუმანიურ თანაგრძობას. მეგაზეთეები ქუჩებს იკლებენ ყვირილით სენსაციონურ გამოძახილით: „პარიზის ფოსტა-ტელეგრაფი გაიფიცა! არც ერთი წერილი, არც ერთი დეპეშა, არც ამანათი, პარიზი მოსწყდა სხვა ქვეყნებს“! დიახ, პარიზი — ეს მსოფლიოს ფილტვები გარეგანი შემაერთებელი ძაფებით მოსწყდა სხვა ქვეყნებს იმ დროს, როდესაც ბალკანეთის კუნძულზე ომი ბეწვზე ეკიდა, მაგრამ ის თავის მდევური ამოფშვინვით მთელ ქვეყანას ამცნობს თავის პროლეტარიატის გაბედულ გამოსვლას, რასაც სხვა ქვეყნის პროლეტირიატი მეგობრულ სალამს უძღვნის და მზათაა დაეხმაროს მას ყოველგვარათ. ასეთია გაფიცვის გამოცხადების პირველი საათები პარიზში. ეხლა გადავიდეთ თვით გაფიცვაზე.

1884 წ-ს გამოცემული კანონი კავშირებისა, სინდიკატებისა, ასოციაციებისა, კოპერატივებისა და გაფიცვათა შესახებ, კაცმა სიმართლე უნდა სთქვას, რომ გვარიანი დემოკრატიულია. ამ კანონის მიხედვით საფრანგეთის ყოველ მოქალაქეს შეუძლია შეადგინოს ესა თუ ის სინდიკატი, კოპერატივი, საზოგადოება და იყოს მის წევრათ, სულ ერთია იქნება ის უბრალო მუშა, ხელოსანი, გლეხი, ვაჭარი, მოხელე თუ სენატორი. იგივე კანონი ანიჭებს ზემო აღნიშნულ დაწესებულებებს გაფიცვის სრულ უფლებას. რა თქმა უნდა, ამ კანონს გარეთ არ რჩება ფოსტა-ტელეგრაფის პროლეტარიატი და ის სარგებლობს მით. მაგრამ როდესაც 1870 წელს სასტიკი დამარცხების შემდეგ, საფრანგეთის პროლეტარიატი წელში იმართება, ძალას იკრებს, ამაგრებს თვის ეკონომიურ და პოლიტიკურ ორგანიზაციებს, კომუნის მიზანს ოქროს ასოებით აქარგავს თავის სისხლით შეღებილ წითელ დროშას, არ შეიძლება, სოციალიზმის წითელი აჩრდილი დამოკლის მახვილივით არ ეკიდოს ფრთხალი ბურჟუაზიის თავზე. აი ეს წითელი აჩრდილია, რომ კლემანსოს ფეხქვეშ ათელვინებს ყველა იმას, რაც მისთვის წმინდა და უზენაესი იყო ოთხმოციან წლებში. დიახ, ეს წითელი აჩრდილია, რომ კლემანსოს მთავრობას ფაფარ აყრილი ამხედრებს ფოსტა-ტელეგრაფის პროლეტარიატზე და აღიზიანებს მას, რომ ყოველივე ძალ ღონით ეცადოს ცხადი თუ ფარული დეკრეტებით ფოსტა-ტელეგრაფის პროლეტარიატი ამ კანონის გარეშე დააყენოს. ის კარგათ გრძნობს, რომ ფოსტა-ტელეგრაფის პროლეტარიატის შეერთებულ ძალას შეუძლია დიდი სამსახური გაუწიოს სოციალისტურ რევოლუციას და აქიდანვე სცდილობს მის რომაელ მონების „უფლებამდე“ ჩამოქვეითებას, მაგრამ, რაც უნდა იყოს, ეს არც ისე ადვილია, და ისიც საფრანგეთში, სადაც კანონს ხალხის დეპუტატთა საკრებულო სცემს და არა სამინისტრო. უზენაესი უფლება ხალხს ეკუთვნის, სამინისტრო პასუხის მგებელია ხალხის წინაშე. 19 მარტს, ახალი სტილით, პარასკევს, როდესაც პარლამენტის სხდომაზე სოციალისტებმა სამინისტრო დაიჭირეს თვითნებურ

დეკრეტის გამოცემაში, ფოსტის მოხელეთა შესახებ, მინისტრმა ბარტუმ მოურიდებლათ განაცხადა: მართალია, იყო ასეთი დეკრეტი გამოცემული, მაგრამ ის გაუქმებულია მეორე დეკრეტით, რომელიც ოქტომბერში გამოვიდაო. მთავრობის ასეთი მოქმედება ხალხის უზენაესი უფლებების აბუჩათ აგდებაა, მაგრამ რამდენათ ხალხი ფთხილათ იქნება შეეძლება თავის მთავრობა სათანადო ფარგლებში იყოლიოს.

დიახ, ფოსტა-ტელეგრაფის პროლეტარიატის სინდიკატები, მიუხედავათ ყველა იმ დაბრკოლებებისა, რომელსაც მთავრობა მას წინ უღობავდა, სასტიკათ იცავდა თავის უფლებას. ამ ორი წლის წინათ კლემანსოსა და მის მომხრეთა სურვილით მინისტრის თანაშემწის სავარძელში გამოიჭიმა სიმიანი, რომელიც სრულიად არ იცნობდა ფოსტა-ტელეგრაფის საქმეთა წარმოებას. ის პორტფელის მიღებისთანავე შეუდგა ფოსტა-ტელეგრაფის პროლეტარიატის შევიწროება-დამცირებას და ამა თუ იმ ცვლილებების მოხდენას, ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა სინდიკატები ყოველივე ძალღონით უწევდენ წინააღმდეგობას. ამ უკანასკნელათ მოთმინებიდან გამოსულნი უგზავნიან თვით მინისტრს ბარტუს დელეგაციას წინადადებით, რომ ფოსტა-ტელეგრაფის სინდიკატებს სურთ იქონიონ საქმე თქვენთან და არა სიმიანთან. დელეგაციას მოუთმენლათ ელოდებოდა ქუჩაში ფოსტა-ტელეგრაფის პროლეტარიატი. როდესაც დელეგაცია დაბრუნებული ხალხთან ერთათ გაემართა ერთ სასტუმროს დარბაზში მოხსენების გასაკეთებლათ, პარიზის პრეფექტმა მათ გზაში წესიერების დამცველნი დაახვედრა. ეს უკანასკნელები ჩაერივნენ ხალხში და დაუწყეს ცემა სრულიად უმიზეზოთ. დამფრთხალმა ხალხმა თავი შეაფარა იქვე ცენტრალიურ ფოსტას, მაგრამ ჟანდარმერია იქაც შეიჭრა. მალე სიმანიც გაჩნდა რამდენიმე კაცი დააპატიმრებინა პრეფექტს. მოხელე-ქალებსა და კაცებს აღშფოთებთ ცალკე პრეფექტის საქციელი და ცალკე სიმიანის. არ იცნოდენ რა ექნათ სიმიანი მისდგა ქალებს და ლალანძღა. ვინ მოსთვლის თუ რა არ უწოდა ამ საწყალ შრომის შვილებს და რაგვარათ გასთელა მათი ადამიანური სახე. ამის შემდეგ სინდიკატები მართავენ კერძო მიტინგს, სადაც კიცხავენ სიმიანის საქციელს და პასუხის გასაცემ იარაღათ ირჩევენ გაფიცვას. ორშაბათს, 15 მარტს, ახალი სტილით, იმართება საერთო მიტინგი. მიტინგს 10,000 ქალი და კაცი ესწრება, გარეშეპირთ არ უშვებენ, რომ რაიმე პროვოკაცია არ მოხდეს. დარბაზი ვერ იტევს ხალხს. თუმცა სთოვს, ცივა, მაგრამ ქუჩა გაჭედილია ხალხით, რომელიც ელის გადაწყვეტილებას. ღამის 12 საათზე მიტინგი ადგენს საერთო გაფიცვას. გადის ზემო აღნიშნული მოთხოვნები. სიმიანის დათხოვნას მტკიცეთ ესმება ხაზი. გაფიცვას ვაშას ძახილით და ინტერნაციონალის სიმღერით ეგებება ხალხი. არჩეული იქნა საერთო გაფიცვის კომიტეტი, რომელიც მაშინვე შეუდგა თავის მოვალეობის შესრულებას. მეორე დღეს ცენტრალურ ფოსტას და განყოფილებებში მოხელეთა მაგიერ სალდათები ჩააყენეს. სალდათებს არაფერი გაეგებათ ფოსტის წარმოების. ზოგი განყოფილება კიდევ განაგძრობს მუშაობას, მაგრამ მიტინგი მიტინგს მისდევს, საერთო გაფიცვის კომიტეტში ახალი და ახალი დელეგაციები მიდიან სოლიდარობისა დ მუშაობის აღკვეთის გამოსაცხადებლათ. გაიფიცა: მარსელი, ლიონი, დიჟონი და სხვა მრავალი პროვინციონალური ქალაქები. სოციალისტური გაზეთი „ჰიუმანიტე“ და პროფესიონალური კავშირების გაზეთები სასტიკათ ექვეთებიან კლემანსოს სამინისტროს. სხვა პროგრესიული გაზეთებიც აღშფოთებულია მთავრობის საქციელით, რომ საქმე გაფიცვამდე მიიყვანა. ისეთი „სქელ კანიანი“ გაზეთი, როგორც „მატენია“, ისიც კი ღელავს და ვითომ იერში მიაქვს მთავრობაზე. ის სხვათა შორის გულის წყრომით აღნიშნავს, რომ კლემანსოს სამინისტრო ყურადღებას არ აქცევს საფრანგეთის მშრომელი ხალხის ინტერესებს და ამით საშუალებას აძლევს რეონ გაღმელ მარქსიზმს, რომელიც მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვას იჩემებს, ნიადაგი მოიპოვოს საფანგეთშიო. ამაზეა ნათქვამი: „ერთი რამ ქკვიანური გიქსაც წამოსცდებაო“.

თითქმის მთელი პარიზი თანაუგრძნობს გაფიცვას, თუმცა რასაკვირველია, სხვა და სხვა მიზნით და მოსაზრებით. პროვინციის ქალაქებშიაც კი დიდი მანიფესტაციები იმართებოდა. შრომის კონფედერაციამ გამოუშვა პროკლამაციები და მიესალმა გაფიცულებს. საერთო გაფიცვის კომიტეტში მრავალი დელეგაციები მიდის სხვა და სხვა სინდიკატებიდან თანაგრძნობის გამოსაცხადებლათ და ნივთიერი დახმარების გადასაცემათ. მოდიან დელეგატები პროვინციალური ქალაქებიდან. ნაციონალური რკინის გზის მუშების დელეგატმა მხურვალე სიტყვა სთქვა გაკიცხულთა მიტინგზე და მათი სინდიკატის სახელით 5,000 ფრანკი გადასცა საერთო ვგაფიცვის კომიტეტს. ყველა სინდიკატების დელეგაცია თუ რეზოლუცია ერთ გვარათ ამბობდა: ჩვენც მზათ ვართ გავიფიცნეთ თუ საჭირო იქნებაო. გაფიცულთა სულიერი მდგომარეობა მტკიცე და შეურყეველია. წარმოიდგინეთ, რომ პარიზის პოლიციელებმაც კი 500-სი ფრანკი გაუგზავნეს გაფიცვის კომიტეტს თურმე. სხვა ქვეყნის პროლეტარიატის ხმა არ ისმოდა, რადგან საფოსტო-ტელეგრაფო მიმოსვლა შეწყვეტილი იყო. გერმანიის ფოსტა ტელეგრაფის მოხელეთა კავშირმა კი მოახერხა გამოეგზავნა თანაგრძობის დეპეშა და ნივთიერი დახმარება. ინგლისის ფოსტა-ტელეგრაფი დეპეშით ეკითხებოდა გაფიცვის კომიტეტს, როგორ გამოგზავნოთ ნივთიერი დახმარება, დელეგატების ხელით თუ ფოსტითო. ასეთივე შეკითხვა იყო ამერიკიდანაც 18 მარტს, ყველა ქვეყნის პროლეტარიატის სახსოვარ ისტორიულ დღეს, გაფიცვამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. ბურჟუაზიულ წრეებს უკვე შიშის ქარი შეეპარათ, წითელი აჩრდილი სულ უფრო და უფრო ელანდებოდა. დღეს საერთო მიტინგმა დაადგინა, რადგან შესაძლებელია გაფიცვა დიდხანს გაგძელდეს, და ყოველ-

დღე მოსალოდნელია ომი ბალკანეთში, მიიღონ და გაგზავნონ მარტო დიპლომატიური დეპეშები. ამისათვის აირჩიეს რვა კაცი, რომელთაც მორიგობით უნდა ემუშავნათ. ჩვეულებრივათ კი პარიზის ფოსტა-ტელეგრაფი ჰგზავნის ყოველ დღე 3,000,000 წერილს, 300,000 დეპეშას, ამ რიცხვში არ შედის ფული, ამანათი და ჟურნალ-გაზეთები, არც მთავრობის წერილბი.

**არისტიდი.**

(დასასრული იქნება).



რწმენის ძლიერება.

# აღდგომა დღეს.

—:—

ჰა, გარიჟრაჟდა, არე მარესა
უხმოთ მოშორდა ბნელი აჩრდილი,
მზის მოელვარე ას-გეც სხივებმა
მძინართ დაუფერთხო ადრიან ძილი.

—

ცის ცვარ ნამისგან ჭირ განბანილმა
გულმა სიამით თექა აშალა,
მოიკეკლუცა პატარძალივით
და ლაჟვარდსა ცას შეუქო ძალა.

—

ცელქი ნაკადი ალმასის ცვრებით
კორდიდან მოსკდა, დაეშვა ველათ,
გრილმა სიომაც ფრთა შეისწორა
სევდა კაეშნის მუნ უკუ მყრელათ.

—

ფრინველთ სამეფო მსწრაფლ ახმატკბილდა,
ზეცასა სტყორცნა ტკბილი ზეგსური,
ტურფა წალკოტში გადაიფურჩქნა
ვარდ-ზამბახ ია ნაზი სუმბული.

—

გაცოცხლდა არე, გაცხოველდა ველი,
გაისმა მერცხლის მღერა წკრიალი,
განცხრომის ძეთაც გამოიღვიძეს,
ეტლთა მიმოსვლას გააქვს გრიალი.

—

დიდის-დიდებით დღესასწაულობენ
ჩაგრულ-გვემულის მკვდრეთით აღდგომას,
თუმც თვალთ მაქცურად კვლავ განაგრძობენ
მათსა ნაშრომზე ტკბილად განცხრომა.

—

მდიდრულად მორთულ სრა სასახლეში
ისმის სიმღერა, კისკის-სიცილი,
იქ სარდაფში კი კვალად მძვინვარებს
მაშვრალსა ხალხზე მწვავე შიმშილი.

—

მათ არ ახარებთ დღესასწაული,—
დაფდაფის ცემა, სიმთა წკრიალი,

ბადნარ-წალკოტის მიმზიდველობა,
მსუბუქ ზეფირის ცაში სრიალი...

—

არა ლხინობენ, ვერაფრით ხიბლავს
დღესასწაული კაშკაშ მზიანი,
მძიმე უღლის ქვეშ კვლავ კვნესის, ჭკოდებს
მშრომელი ხალხი სახარ ხმიანი.

დ. თურდოსპირელი.

* * *

ეჰ, რათ დაჭქრიხარ, ნიავო,
სამარეს, მწვანის ნაფერსა?!
მკვდარია... ის ვეღარ ისმენს
ფურჩულსა,—მთის მონაბერსა...
მინაზებულა ცა ლურჯი,
ვარსკვლავს ხან ანთებს, ხან აქრობს...
მთვარე გრძნეული... მაგრამ მკვდარს
ეს აღარ ხიბლავს, არ ათრობს..
და ამგვარ ღამეს მოყვება
დღე ბევრი... ლაღი, მზიანი;
ზამთარში—თოვლი სპეტაკი,
გაზაფხულს—ვარდნი, იანი ..
ლერწამზედ, სასაფლაოსთან
სიყვარულს უმღერს ბულბული;
სიცოცხლე მეჯლისს ჩააბამს,
სურნელს, დააკმევს სუმბული...
ვაგლახ!—ის, ტრფობის კოცონი,
დღეს ცივი,—გუშინ მგზნებარე,
თვის ალს თვითონვე დაუწვავს—
ჩაფერფლილი... მდებარე...

ბაბ.—ი.

# წერილი გურიიდან

## I.

### ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობა

მალე უკვე ხუთი თვე იქნება რაც ახალი ქალაქის თვითმართველობა შედგა. ეს მეხუთე თვე გადის რაც ძველი საბჭო არქივს ჩააბარეს წყევლა-კრულვით ოზურგეთის მოქალაქეებმა და მის ნაცვლად ახალი „მამები“ აირჩიეს. ამ ხნის განმავლობაში ჯერ ახალ თვითმართველობას არაფერი გაუკეთებია, გარდა სხდომებისა, ნორმალურ კალაპოტში არ ჩამდგარა და გარკვეული სახე არ მიუღია. უნდა მართალი ვსთქვათ. თუმცა ახალი თვითმართველობა შეხდგა, მაგრამ ფაქტიურათ ისევ ძველის ხელშია თვითმართველობა და კვლავ შიგ „ივლიანიზმის“ ჭეგემონია განმტკიცდა.

ძველი თვითმართველობის ვინაობა კი საკმაოთ ცნობილია. მისი მოქმედება დაიწყო 1904 წლიდან და დამთავრდა 1908 წლის მიწურულში. ამ ხნის განმავლობაში ოზურგეთი გავერანდა. ოდესღაც ბ. ნიკო თავდგირიძისაგან დატოვებულ — ამბულატორიას, სამკითხველოს, თეატრისათვის მეცადინეობას და სხ და სხ. კულტურლ საქმეებისათვის მზრუნველველობას ბოლო მოუღეს — დაასაფლავეს. ყოველივე ასეთ მოქმედებისათვის მუშაობა „კრამოლას“ მიაწერეს. ეს ორგანო რეაქციის პერიოდში აშკარა მებრძოლი გახდა ყოველგვარ პროგრესიულ მიმდინარეობისა. არაფრის გაკეთება, ფულების უკანტროლოთ ფლანგვა. ძველი თვითმართველობის დატოვებული საქმეების განადგურება, აი ყოფილი თვითმართველობის მოქმედება, რომლის განვითარებამ მიაღწია უმწერვალეს წერტილს. ამას უნდა დასძინოთ კიდევ მათი ბრძოლა ნოქრების წინააღმდეგ, ეტლზე მომუშავეთა წინააღმდეგ. და სხვა ამგვარები. ერთი სიტყვით, ძველი საბჭოს მოქმედებამ ისეთი სახე მიიღო, რომ „ჭეშმარიტ რუსებს“ გადააჭარბა. ასე ამგვარათ, ხუთ წელს თვითმართველობამ თავის არსებობის დროს ფეხს ქვეშ გასთელა მოქელაქეთა უფლება. ხუთ წელს უპატრონოთ დარჩენილი ოზურგეთი გავერანდა სოფელს დაემგზავსა, ბოგირები დაინგრა, ქუჩები წახდა. ასე თუ ისე, ძველი თვითმართველობის „სასიქადულო“ მოღვაწეობა ნათელია ყველასათვის. მათი შავრაზმული მოქმედება დაუვიწყარი იქნება ოზურგეთის ცხოვრებაში. მხოლოდ ჩვენ გვინდა ეხლა მოკლეთ შევეხოთ ახალ თვითმართველობას.

1908 წელს 16 აგვისტოს, ოზურგეთის მოქალაქეებმა აასრულებს თავიანთი მოვალეობა და დაიძახეს „ძველი მოკვდა, გაუმარჯოს ახალს“. მხოლოდ სავალალო და სამწუხარო ის არის, რომ არჩეულებმა ამრჩევლების წინაშე თავიანთი უძლურება ადრე დაამტკიცეს და იმედები გაუცრუვეს. ოზურვეთის მოქალაქეები ამდენ ხანს მოელოდენ ძველი თვითმართველობის მოქმედების განხილვას, მისი ცუდი მხარეების გამომზეურებას, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა სინამდვილეშ ხულ სხვა დაგვანახვა. ახალი საბჭოს უმეტესობა ცოცხალი ორგანო ვერ დარჩა. რა გააკეთა ძველმა თვითმართველობამ? სად არის მოქალაქეების ზურგზე აწებნილი ფულები, ან რაში დაიხარჯა? პასუხს მოითხოვდენ მცხოვრებნი — ამრჩევლები ახალი საბჭოსაგან, პასუხს მოელოდენ, მაგრამ ამაოთ. ახალმა საბჭომ ნაცვლათ იმისა, რომ პირველათ განეწმინდა თვითმართველობა და ძველი მოქმედება განეხილა დეტალურათ; ამასთანავე თავისი სამოქმედო გეგმისათვის საძირკველი ჩაეყარა, ყველა ამას გვერდი აუხვია და მოედვა „ღობე-ყორეს“. თუმცა რევიზია მოახდინეს მაგრამ ორ სკამ შუა მჯდარმა საბჭომ ძველის მოქმედებას ვერც სანქცია გაუკეთა ვერც გადაჭრით უარყო. საქმე უყურადღებოთ დარჩა.

განვიხილოთ მოკლეთ ყოფილი თვითმართველობის ბიუჯეტი და ის უფრო გააცისკროვნებს სინამდვილეს.

წარსული 1904 და 1905 წ. წ. შემოსავალ-გასავლის ანგარიში ძველმა გამგეობამ არ წარუდგინა სარევიზიო კომისიას, ამის მოტივათ ის მოიყვანა, რომ კრილოვის დროს ჯარმა გა ნადგურა თვითმართველობა და ანგარიშიც მაშინ დაიკარგაო. სარევიზიო კომისიამ მხოლოდ 1906—7—8 წლეების ანგარიში განიხილა. 1906 წელს ყოფილა შემოსავალი 7.346 მ. 88 კ. 10.639,90. 1908 წ. 8.881,92. სულ ამ სამ წელში შემოსულა 27,868,05 გასავალიც ამდენია ბალანსით. მაგრამ საქმეც ეს არის რომ ამ გასავალს არავითარი საბუთი არ ახლავს. ნაჩვენები გამოიკვევა სარევიზიო კომისიის გასავლისა ასეთია: იგ. ჯაყელს და სხვა თვითმართველობაში მოსამსახურეთა ჯამაგირი 4,1334, მ. 94 კ. სახელმწიფო 5.986.66, „პოდ“ ინსპექტორს 688.51, ქალაქის საყანთროს და ხიდების აშენებაზე 2,425,97, ქალ. განათება 2.708.49. სამხედრო მოთხოვნილება 1.603,34, პოლიციელების შენახვა 3,472,30. „მოკანდრახე“ პირებს 1.653,99, მეურმეს ძაღლების გადათრევისა და გასაწმენდი 586,66, სხვა და სხვა ხარჯები

942.85; „ზალოგებისათვის“ 250.90, 4% რენტას 722,58, კანცელიარული ხარჯი 377,24. კ. ერქომ-ის დაუხარჯავს 363,25, გ. ხუნდაძეს წაუღია ჯამაგირში, 1.462, 10 და სხ და სხ. წვრიმალნი, აი ეს არის სარევიზიო კომისის გამოკვლევა მარტო დაწერილ ციფირებისა. როდესაც კომისიამ გასავალის დამამტკიცებელი ფაქტები მოითხოვა, გამგემ ვერაფერი საბუთი ვერ წარუდგინა. გასავალი მხოლოდ ქაღალდზე იყო დაწერილი ბუნდოვანათ, მაგრამ რა რაშა დაიხარჯა, ზოგიერთ პუნქტში დაწვრილებით არაფერია ნაჩვენები, მხოლოდ ყოველივე ზემო აღნუსხულ ანგარიშზე მშრალ სიტყვებს აძლევდა ძველი გამგეობა „ინიციატორი“ სარევიზიო კომისიას და კომისიამაც გარკვეული პასუხი ვერ მიიღო იმათგან. როდესაც საბჭოს სხდომაზე სარევიზიო კომისიამ მოხსენება წარუდგინა საბჭოს, მაშინ ბ. ივ. ჯაყელი არ დაესწრო კრებას მხოლოდ ბ. გ. ხ-ძემ როდესაც შეეკითხენ, შემდეგი განაცხადა: მართალია მე ქალაქის თავი ვიყავი მაგრამ მე თვეშიაც ერთხელ არ შევდიოდი და ყოველ საქმეს ჯაყელი განაგებდაო. სწორეთ ეს მართალია, ფაქტიური ხელმძღვანელი თვითმართველობის გამგეობის ჯაყელი გახლდათ, გ. ხ. „ფიქთივნი“ იყო. საბჭომ ეს საკითხი კი გადადვა შემდეგი სხდომისთვის, აქვე უნდა აღვნიშნოთ რომ 1) გ. ხ-მე ქალაქს ემსახურებოდა „უჯამაგიროთ, მაგრამ მას მაინც აუღია ჯამაგირი და დანარჩენს მოითხოვს, 2) გამოირკვა, ქალაქის ფული 4%-იანი რენტა რომელიც დაზღვეულია და ქალაქს შეუძლია მხოლოდ მაშინ გამოიტანოს როცა რაიმე ძლიერი გაჭირვება ადგას. გ. ხ-მეს კი ფული გამოუტანია და ჯამაგირში წაუღია — თუმცა 1906 წლის პირველ რიცხვებში საბჭოს დაუდგენია ამ ფულის გამოტანა საბარასკევოს გასაკეთებლათ, მაგრამ საბარასკევო მასლობელ ვაჭრებს გაუკეთებიათ და ფული კა ხუნდამეს ცხრა თვის შემდეგ გამოუტანია, რაიც დიდ წინააღმდეგობას შეიცავს და არც დასაშვებია

რამოდენიმე ხნის შემდეგ ჯაყელმა განუცხადა ქალაქის საბჭოს: თუმცა პირველათ ვერ წარმოგიდგინეთ დამამტკიცებელი საბუთები, მაგრამ ეხლა ყველა მზათ მაქვსო. საბჭომ კი გუბერნატორს გადასცა სარევიზიო კომისიის მოხსენება სიტყვით. მაგრამ სინამდვილეში ჯერ არაფერია.

დღეს კი გარკვეულია რომ გ. ხ-მეს ჯამაგირი არ უნდა აეღო. მაგრამ ამაზე დუმილია.

დღესავით ნათელია ყველასათვის, რომ შემოსავალ-გასავლის ანგარიშებში სრული ანარქიაა და არ ეთანხმება სინამდვილეს, მაგრამ, ჯერ ამისთვის არვინ იღებს ხმას.

თუმცა თვითმართველობა ახალი უკვე კარგი ხანია შესდგა, მაგრამ ჯერ თავის სიმაღლემდი ვერ დამდგარა.

და, ორჭოფული მდგომარეობაში ჩავარდნილი, „ტუპიკშია“ მომწყვდეული. ის ჯერ სტუმარია; თვითმართველობის ფაქტიურიგამგე ისევ ძველი „ხაზეინია“, კვლავ ძველი აწარმოებს ყოველგვარ საქმეებს და სავალალოც სწორეთ ეს არის.

ხალხი სდუმს. უხმოთ ადევნებს თვალ-ყურს მათ მოქმედებას.

როგორ წავა საქმე, ამას მომავალი დაგვანახებს.

ჰ.

# შინაური ამბები.

✦ ორშაბათს 30 მარტს, სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოთ იმართება **ბ ა ლ ი**. თფილისის არტისტიულ საზოგადოების დარბაზში. მიზანი ერთობ სიმპატიურია და ამიტომ იმედია საზოგადოება არ შეხვდება გულ-ცივათ.

✦ ამავე დღეს ნაშუადღევის 1 საათზე სახალხო სახლში. საოპერო არტისტების ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება **„ფ ა უ ს ტ ი“**, ოპერა 4 მოქმედებათ. მუსიკა შ. გუნოსი.

✦ თფილისში არსდება ქალთა სავაჭრო სკოლა. ამ სკოლაში ასწავლიან იმავეს, რასაც ვაჟთა სკოლებში. სწავლის დრო სამი წელიწადი იქნება. მიიღებენ სკოლაში 12—15 წლისას, ხოლო მოსამზადებელ კლასში 8—11 წლისას.

✦ **კრების გათავება.** 22 მარტს დასრულდა რუსეთის წყლის მილისა, სანიტარისა და სატეხნიკო საქმეთა მეცხრე კრება. უკანასკნელ სხდომაზე კრებამ განიხილა ს. ი. ხატისოვის მოხსენება კავკასიის ქალაქებში წყლის გაყვანის საქმის გაუმჯობესობის შესახებ. მიღებული იქმნა რეზოლიუცია, რომელშიაც ის აზრია გამოთქმული რომ ქალაქებში თუ სოფლებში წყლის გაყვანის საქმე კარგად მოეწყობა მაშინ, როდესაც შემოღებული იქნება ერობა, გაფართოვდება ქალაქის საარჩევნო უფლებები, შემოღებული იქნება ქალაქებში თვითმართველობანი და დაარსდება ტფილისში უმაღლესი სასწავლებელი. რეზოლიუციას დამსწრენი ტაშისცემით მიეგებნენ.

✦ 21 მარტს გაჩხრიკეს თბილისის სხვა და სხვა უბნები და დააპატიმრეს 199 კაცი.

✦ მთავრობას აზრათა აქვს ტფილისში ახალი დიდი სატუსაღო ააშენოს. ეს სატუსაღო დაჯდება თურმე 700,000 მანეთი. პროექტი უკვე გაუგზავნიათ პეტერბურგს.

✦ ბელგიის „კაცთა უფლების ლიგის“ თავმჯდომარემ ჟორჟ ლორანმა 10 მარტს ბრიუსელის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა თხოვნით წერილი გაუგზავნა სახელმწიფო დუმის თავმჯდომარეს ხომიაკოვს და სთხოვა, ყურადღება მიაქციოს ეპისკოპოს კირიონის უსამართლოდ დასჯას და საიმპერატორო მთავრობას აცნობოს ყოველივე ეს, რათა მხცოვანი ეპისკოპოსი უზრუნველ ჰყონ მართლ-მსაჯულების ელემენტარულ გარანტიით.

✦ **ხონი**—კვირას 22 მარტს ხონში შედგა კრება ადგილობრივ საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა. კრებამ საათ ნახევარი გასტანა. გასულ საანგარიშო წლის განმავლობაში საზოგადოებას გადუტრიალებია 1189515 მ. 84 კ საზოგადოებას ჰყოლია 271 წევრი; საანგარიშო 1908 წელში ამხანაგობას გამოკლებია 23 წევრი, შემატებია 2. ყოველ შეტანილ 100 მანეთზე მოგება დარჩათ 6 მანეთი. ბ.ბ. პოლიკო კიკალიშვილის და გრიგოლ ბურჭულაძის წინადადება ბიბლიოტეკისათვის აღმოეჩინა საზოგადოებას შემწეობა, კრებამ არ შეიწყნარა. ბ. პოლიკარპ ჩხიკვიშვილის წინადადება—კრებას აღმოეჩინა დახმარება ცეცხლისაგან განადგურებულ პოლიკარპ ზახტაძისათვის—კრებამ უყურადღებოთ დასტოვა.

✦ **ხონი**. 20 მარტს აქ ყველა სასწავლებლებმა გადაიხადეს გოგოლის 100 წლის დაბადების დღესასწაული.

✦ **ნაოლალევი**. აქ ამ დღეებში მოელიან დეპუტატს ევგვენი გეგეჭკორს, რომელიც ამ სოფლის მკვიდრია.

✦ რედაქციამ მიიღო საბავშვო წიგნაკები: «მშიერი მგელი» და „მამაცი მგზავრები“ (ხალხური ზღაპრები) გამოცემა „ჰასკერისა“. ორივე წიგნაკი დასურათებულია ფერად საღებავებით გაკეთებულ ნახატებით, კმრგი საჩუქარია ბავშვებისათვის.

✦ რედ. მიიღო აგრეთვე „Отчетъ Союза Механическихъ Рабочихъ г. Баку и его раіоновъ за второй годъ существованія (Съ 1 авг. 1907 г. по 1 авг. 1908 г.). რასაც შემდეგ ნომერში გავაცნობთ მკითხველებს.

# რუსეთის ცხოვრება

—,—

✦ სააღდგომო დღესასწაულების გამო სახელმწიფო დუმის სხდომები შესწყდა შვიდ აპრილამდე.

✦ დახვრეტაზე უარის თქმა. ამ რამდენიმე ხნის წინად ქალაქ ეკატერინოსლავში სამი კაცისათვის დახვრეტა გადაუწყვიტიათ, ჯარის უფროსს ეს საქმე აფიცერ ს.—სთვის მიუნდვია, რომელსაც სალდათები უნდა წაეყვანა დასახვრეტად. აფიცერს უარი განუცხადებია, უიარაღოებს ვერ ვესვრი, ჩემი საქმე არ არისო. ამაზე აფიცერი სასამართლოში მიუციათ. სასამართლოს მისთვის ყოველივე უფლება ჩამოურთმევია და 2 წლით ციხე გადაუწვეტია. აფიცერი ს. რუსეთ იაპონიის ომში ღებულობდა მონაწილეობას და მას სიმამაცისათვის ბევრი საჩუქარი აქვს მიღებული.

✦ გუბერნატორის პროპაგანდა. ოლონეცის გუბერნიიდან „რეჩს“ ატყობინებენ, რომ აქაური გუბერნატორი სოფლის საზოგადოებებს დაჟინებით ურჩევს „კოლოკოლი“, „რუსკ. ზნამია“ „ზემლია“ და სხვა შავრაზმული გაზეთები გამოიწერეთო.

✦ რკინის გზებზე. „ნაშა გაზეტას“ სიტყვით, 1908 წ. რუსეთის რკინის გზებიდან გაუტაცნიათ და მოუპარავთ სულ შვიდი მილიონი მანეთი.

# სპარსეთი

—:—

რუსის დიპლომატიამ დაუთმო ინგლისის ელჩს, რომელიც მუდამ ცუდს, გამწვავებულ განწყობილებაში იყო პოლკოვნიკ ლიახოვთან და ეს უკანასკნელი რუსის სამსახურიდან დაითხოვა.

**შახსევნები სათარ-ხანს მიემხრნენ.**

ამ დღეებში ნეჯიფეის შეიხის ალა-ქაზუმის რჩევით შახსევანების მეთაურებმა დაადგინეს, რევოლიუციონერებს მივემხროთო მათ კაცები აირჩიეს და სათარ-ხანს გაუგზავნეს გამოსაცხადებლად, რომ ამას იქით შახსევნები რევოლიუციონერებს დაუჭერენ მხარსაო. ამ მეთაურებს ჰყავთ მშვენივრად შეიარაღებული 10 ათასი ცხენოსანი. შახსევანები ჩრდილოეთ სპარსეთში რუსეთის საზღვარზე ცხოვრობენ და მეტად ყოჩაღი მეომრები არიან. აქამდე ისინი ერთგულად ემსახურებოდნენ შაჰსა და ერთგულად ემხრობოდნენ რეაქციას. შახსევნების რევოლიუციონერების მხარეს გადასვლამ ძლიერ დააღონა შაჰი და მისი მთავრობა (ზ.).

**1500 მაქოელები მიმხრობია სათარ-ხანს.**

თავრიზიდან ატყობინებდენ რუსულ გაზეთებს, რომ ეინუდ-დოვლეს ახალ განადგურების შემდეგ, 1500 მაქოელი სათარ-ხანის მხარეს გადავიდაო.

**რევოლიუციონერების ახალი გამარჯვება.**

თეირანიდან ატყობინებენ „ნოვ. რუს“-ს: ნავთსადგურები გიაზი და მაშარ ხორი, კასპიის ზღვის ნაპირზე, რევოლუციონერებმა აიღესო. ნავთსადგურების მთელს შემოსავალს განაგებენ ხალხის მიერ არჩეული კაცები.

ქალ. ხამანიდან და არაკიდან გუბერნატორები განდევნეს ამ ქალაქების მმართველობა ადგილობრივ ენჯუმენების ხელში გადავიდა.

**ეინუდ-დოვლე.**

ხმა დადის, რომ უკანასკნელ ბრძოლის დროს, როდესაც სათარ-ხანმა მთლად გაანადგურა და უგზოუკვლოდ დაქსაქსა ეინუდ-დოვლეს ჯარი, თითონ ეინუდ დოვლეც მოჰკლესო.

„რეჩის“ კორესპონდენტათ ნამყოფი, ცნობილი **პანოვი (ტანე)**, რომელიც ამ ბოლო დროს რევოლიუციონერებს ამოუდგა მხარში, **პროვოკატორი** აღმოჩნდა; რევოლიუციონერთა კომიტეტი მას ახლოს აღარ იკარებსო („ჩვენი საქმე“).

# ჩვეულების მსხვერპლი

(ბიძინა ყოჩიევის 3 მოქმედებიანი პიესა ოსურ ენაზე).

——

ცნობილმა ბ. ყოჩიევმა ოსურ ენაზე დასწერა ორიგინალური პიესა „ჩვეულების მსხვერპლი“, რომელიც უკვე ორჯერ წარმოადგინეს ოსურ სცენის მოყვარეებმა. ამ პიესამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ოსურ საზოგადოებაში, რაც გაკვრით იყო მოხსენებული ქართულ პრესაშიაც. ავტორს მიზანში აქვს ამოღებული ეგრედ წოდებული ქსნის ხეობის „გაქართველებული ოსები“ და მკაცრი ცინიზმით ახასიათებს მათ ზნეჩვეულებებს. ასეთმა უკმეხმა დახასიათებამ იგინი აღელვა და ავტორისადმი პროტესტი გამოაცხადებინა. ავტორს კიდევ მოსარჩლეები გამოუჩნდენ, ასე რომ ამ ნიადაგზე სიძულვილი ჩამოვარდა ქსნისა და დანარჩენ ოსებს შორის.

შინაარსი პიესისა შემდეგია. ერთ ღარიბსა და გაუნათლებელ სოფლელ ოსს საუქუძას ჰყავს ახალგაზდა, ლამაზი ცოლი, რომლიდანაც პირველი შვილი მიეცა. გაჭირვება აიძულებთ საუქუძას და მის დედას ამან ალგაზდა დედას გამოსტაცონ საყვარელი შვილი და ძიძათ დაა-

ყენონ თბილისში. ლიზა (სახელია იმ ქალისა) დიდხანს ებრძვის დედამთილს და ქმარს, მაგრამ მაინც დამარცხებული რჩება; ვერც ძმა უშველის რამეს, რადგანაც საუქუძა განუცხადებს, „ლიზა შენი და აღარ არის, შენ ის ორმოც ძროხაში მომყიდეო“, ესე იგი „ურადი“ გამომართვიო და „როგორც საკუთარ ძროხას, ისე მოვექცევიო“. და ბოლოს ლიზას ჩაიყვანენ თბილისში; ჩასვლისთანავე საუქუძა მას ალექსანდროვის ბაღში წაიყვანს, სადაც ძიძებს ქირაობენ. აქ ლიზა მარტო თავის ძუძუ მწოვარა ბავშვზე, რომელიც თხის რძით უნდა გამოკვებონ სოფელში, და სამშობლოზე ფიქრობს,—საუქუძა კი გიჟივით დარბის და ყველას ევედრება ჩემი ცოლი ძიძათ აიყვანეთო, მაგრამ არავინ იყვანს. უკვე ბინდდებოდა და ახლად ჩამოსულებს, გამოუცდელ სოფლელებს კი გასათევებელი ბინა არა აქვთ. ამ დროს გამოჩნდება საუქუძას ძველი ნაცნობი და ღამის გასათევებლად წაიყვანს ერთ როსკიპ ქალთან. აქ ლიზა პირველად ნახავს როსკიპ ქალებს და გული ზიზღით აევსება. ამ გარყვნილ ოჯახში მას უფრო აგონდება თავისი შვილი და სამშობლო, ამიტომ თავის თავს არ შეურაცხყოფინებს, ერთი წუთის მარტოობით ისარგებლებს და თავს დაიხრჩობს.—

ხომ ხედავს მკითხველი, რა მარტივი შინაარსისაა პიესა, მაგრამ ბ. ყოჩიევმა მაინც ვერ შესძლო ამ უბრალო შინაარსის გადმოცემა. რა თქმა უნდა, ოსური ენა ლიტერატურის მხრივ ძალიან ღარიბია, მაგრამ არც ისე, როგორც ბ. ყოჩიევის პიესაში. ბ. ყოჩიევმა ლიტერატურულ ეთიკას ზურგი შეაქცია და უბრალო აზრის გამოსთქმელად გახსნა თავისი ბალაგანური გუდა და იქიდან ამოალაგა უწმაწური სიტყვები, ხშირად ისეთი სიტყვები, რომლებსაც ხმარობენ მარტო როსკიპი ქალები. არ მინდა შევლახო მკითხველთ გრძნობები, ამიტომ ეს სიტყვები არ მომყავს. ამ ნაკლულევანებას ზედ ერთვის ქართული სიტყვების ხშირი ხმარება. ბ. ყოჩიევს უნდა გვაჩვენოს, თუ რამდენად დაამახინჯეს ქსნის ოსებმა ოსური ენა, მაგრამ ამას ისე უშნოდ გვაჩვენებს, რომ არამც თუ არავინ დაუჯერებს, სასაცილოდ არ ყოფნისთ. არც ერთი ოსი არ ლაპარაკობს ისე დამახინჯებულად, როგორც ბ. ყოჩიევს წარმოუდგენია, ეს მარტო მისი ფანტაზიის ნაყოფია. მეტი არ იქნება ზოგი ადგილი მკითხველის საყურადღებოდ ამოვწეროთ. ერთ ადგილას საუქუძას ასწავლის გზას ვიღაცა ოსი და ასე ელაპარაკება: ავჭალის ქჟხაი თაჳიიდ ქუ ნილლავაი, ვად ია ბოდთ მარჯჳგენაირდეგაი სტირ ლაგ ის ე ფეხქჳეშ ჯაჭჳითა, დონი ნაჭირიმა ქასი.

2) არ ვიცი, წინათ მინ მითხრა: ჳხდა დამინ ის ცხრა, ფალადამ ინნა თჳეი ფა ტერტმეტი ქანძენ. 3) ო, ჳამარჯობა შაგი ძაღლი! საიდჳან, როჳორ ხარ სადა ხარ ამტენი ხან!... ცი ამბაჳითა ის ვა ხურბაი? 4) რათა ითთა ჳდახა სტი, ცი აზრი უ?

კმარა ეს მაგალითებიც. ვისაც მიბაძამს ბ. ყოჩიევი, თითონ იმათ არ ესმითეს უცნაური ენა სიმართლე გითხრათ ზოგიერთი აზრი ვერც მე გავიგე, თუმცა ოსურიც და ქართულიც საკმარისად ვიცი. თითონ ბ. ყოჩიევს დამახინჯებულად დაუსწავლია ორიოდე ქართული სიტყვა და უადგილოდ ხმარობს, ისე რომ დომხალი გამოდის. რა თქმა უნდა ასეთი უსამართლოდ გაკიცხვა ენისა აალელვებდა ვის წინააღმდეგაც არის მიმართული ეს პიესა

ამნაირად ენის მხრივ პიესა ისე კოჭლობს რომ უწმაწური და უადგილოდ ნახმარი ქართული სიტყვები განუწყვეტელ სიცილს იწვევენ, ამიტომაც იგი „ფარსს“ უფრო წაავავს, ვიდრე „დრამას“.

როგორც მხატვრული, სასცენო, ნაწარმოები ხომ უბრალო კრიტიკასაც ვერ უძლებს. პირველ მოქმედებაში უმთავრესი მომქმედი პირები ერთ და იმავე აზრს ღეჭვენ, არწმუნებენ ლიზას, რომ ძიძაობა წმინდა ჩვეულებაა, ამიტომ მას ვერ დაარღვევო, ლიზას კი პირველად ესმის ეს ჩვეულება. ჯერ ერთი, რა ჩვეულებაა ის წმინდა ჩვეულება, რომელიც თვით იმ ხალხის საუკეთესო წარმომადგენელმა, (ბ. ყოჩიევის აზრით) ლიზამ არ იცის. ყოჩიევს უნდოდა ლიზას პირით დაეგმო ეს მავნე ჩვეულება, მაგრამ ვერ მოახერხა ეს, თუმცა ბევრი „ღრმა“ ნამეტან მოსაწყენი აზრებიც გამოსთქვა ისე რომ პირველ მოქმედებაში მაყურებელი საზოგადოება მოწყენილია. სხვა მოქმედებებშიაც ავტორი ერთ და იმავე აზრებს აღეჭინებს მომქმედ პირებს და ყველას თავს აბეზრებს. ამბობენ, ყოჩიევმა ეს პიესა ექსპრომტათ დასწერაო და კარგი იქნებოდა, რომ შეესწორებინა, მაშინ პიესიდან აღარაფერი დარჩბოდა და აღარც არავის აალაპარაკებდა.

პიესა ერთობ სუსტი და უვარგისია არა მარტო მხატვრობის მხრივ. იგი სინამდვილიდგანაც ძალიან დაშორებულია. ავტორი გაუნათლებელ, ძველ ზნეჩვეულებაში აღზრდილ ქალის სახით გვიხატავს ფრიად შეგნებულ, სამშობლოსადმი სიყვარულით აღგზნებულ ადამიანს, გვიხხტავს, მაგრამ ვაი ამ მხატვრობას! ყველას კარგათ მოეხსენება, თუ როგორ მონობაში იმყოფებიან ოსის ქალები, მათ არ შეუძლიათ არამც თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩარევა, ოჯახურ ცხოვრებაშიც კი ხმა არა აქვსთ. ისინი ყურ მოჭრილი მონებია ქმრისა, ყველა მამაკაცებისა და დედამთილებისა. ასე წარმოიდგინეთ, პირისახეც კი არ შეუძლიანთ აჩვენონ ოჯახის წევრთ. და აი მოკლებულნი ყოველგვარ ადამიანურ მოპყრობას, თითონაც ჰკარგავენ ადამიანობას, თავის „მე“-ს. ბ. ყოჩიევი კი ასეთ პირობებში აღზრდილ ქალში, ლიზაში, გვიხატავს განვითარებულ პიროვნებას. სად გაგონილა, რომ პირობების იქით ისახებოდეს ადამიანის პიროვნება. იქნება ბ. ყოჩიევს ჰგონია, რომ მისი პიროვნებაც სამისიონერო სემინარია—აკადემიის გარეშე ჩამოისახა. ტყუილად ჰგონია, ეს თითონ მან დაგვიმტკიცა წარსულ წლებში....

ლიზას ფილოსოფია ასეთია: უნდა გიყვარდეს შენი ერი, თუნდა იგი არ არსებობდეს, თაყვანს უნდა სცემდე მის დიდებულ წარსულს, რომელიც მას არ ჰქონებია. და აი ამ იდეით გამსჭვალული ლიზა ლამობს

გამოუზარდოს საყვარელ სამშობლოს ერთათ ერთი შვილი.— უცნაურია ლიზას ნაციონალური იდეა. რათ უყვარს ლიზას სამშობლო და ერი, პიესაში არა სჩანს, შეყვარება შეიძლება მხოლოდ კარგისა, ლიზას კი მხოლოდ ერის ცუდ ზნე-ჩვეულებებზე უთითებენ საუქუძა და მისი ძმა ბირალა, ქურდობა—ავაზაკობაზე, ქელეხებზე, ურადზე, ძიძაობაზე და სხვა ამისთანებზე. მაშ რათ უყვარს ლიზას ერი—ეკითხებიშენს თავს და პასუხს კი არავინ გაძლევს. მაგრამ მოიცათ, ალბათ, ავტორს წარსული, ერის დიდებული წარსული აგონდება აკი ლიზა ერთ ადგილას იხსენიებს ამ დიდებულ წარსულს. აი მისი სიტყვებიც „...ოსეთი, ოდესღაც ძლიერი ოსეთი, რომელიც თავის მებრძოლ მამულიშვილების იმედით ხმელეთის სახელმწიფოებს ებრძოდა და რომლის სახელიც ყველგან გაისმოდა, ის ოსეთი იღუპება", ესე იგი იღუპება ის ოსეთი, რომელიც ბ. ყოჩიევის ფანტაზიის ნაყოფია და თუნდაც რომ წარმოვიდგინოთ სინამდვილეში, მაინც დიდებული არ იქნებოდა, რადგან ველურ ზნე-ჩვეულების მეტი არაფერი დაუტოვებია ჩამომავლობისათვის. ბ. ყოჩიევი კი დასტირის ძველ ოსეთს ისე, როგორც „ჭეშმარიტი რუსები" დასტირიან ძველ დახავსებულ რუსეთს. ბ. ყოჩიევს ვურჩევ ახლად გამოსულ რუსულ—ოსურ გაზეთის „ხაბარის" თანამშრომლად ჩაეწეროს. ჯერჯერობით ამ გაზეთმა აღმოაჩინა, რომ ოსებს ოდესღაც მთელი სამხრეთი რუსეთი ეჭირათ, მდინარე დუნაის, დნეპრის, დნესტრის და დონის მიდამოები. იქნება ბ. ყოჩიევი უფრო მაღლა ავიდეს და სთქვას, მოსკოვიც ოსებს ეჭირათო; ვნახოთ, ვნახოთ, ვიცოცხლოთ და ბევრს უცნაურ ამბებს გავიგონებთ „ჭეშმარიტ ოსებისაგან". ალბათ ისტორიკოსებმა ყასიდათ დამალეს ოსეთის დიდებული წარსული, რომ შემდეგ არ გვეამაყნა. შეიძლება. უკაცრავად მკითხველთან, ცოტათი საგანს გადავუხვიე. ოსის ნაციონალისტებზე იქნება სხვა დროს მოვიცალოთ. ახლა კი ისევ ლიზას დავუბრუნდეთ. აი რას ამბობს იგი მეორე ადგილას: ოსი (ნამდვილი ოსი იგულისხმე) თავის ცოლს ქალაქში კი არა და სახლის კარებამდის არ უშვებს... თუ გაუქირდა, იქურდებს... ამნაირ სამარცხვინო საქმეს (ძიძაობას) კი არ იკადრებს". ამას იძახის „თავისუფალი პიროვნება", ამას იძახის „შეგნებული მამულიშვილი", რომელსაც სახლის კარებამდისაც არ უშვებენ. მახლას! და აი ამ იდეების მატარებელს ზოგიერთი დაბრმავებული მუშები თაყვანს სცემენ, ფეხ ქვეშ ეგებიან და ქებათა ქებას ასხამენ. ისმათთვის უნიჭიერესი მწერალიც არის, პედაგოგიც, რეჟისორიც და გულწრფელი საზოგადოებრივი მოღვაწეც.. მახლას! მახლას!

**ქართლელი ოსი.**

# პროვინცია

—:—

**დ. ლანჩხუთი.** ლანჩხუთის საზოქაულო, რომელიც 9 საზოგადოებიდან შესდგება, ცნობილია როგორც ციებ-ცხელებიანი ადგილი არა მარტო ოზურგეთის მაზრაში, არამედ მთელ გუბერნიაშიაც. მთელ მაზრაში ყველაზე მეტი ხდება ავათ და კვდება ლანჩხუთის საზოქაულოში. მიუხედავათ ამისა, ეს საზოქაულო დღემდე უყურადღებოთ იყო დატოვებული და საექიმო დახმარებისთვის იძულებულნი იყვნენ მიემართათ სამტრედიაში, ბათუმში და სხვ., რაც ძალიან აძნელებდა საქმეს. როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, წელს მოქმედებას დაიწყებს ქსენოანი, რომელიც დახმარებას გაუწევს 9 საზოგადოებას, ე. ი. მაზრის მესამედს (სულ 25 საზოგადოებაა მაზრაში). ქსენონის გახსნა პატივცემული მღვდლის ეპიფანე ჩხაიძის მეოხებით მოხდა. ხალხი ვერ დაივიწყებს საერთოთ მის მოღვაწეობას. მისი ინიციატივით დაარსდა ჩვენში სამოქალაქო სასწავლებელი და ქალთა ორკლასიანი სკოლა.

**ლანჩხუთელი.**

# სა'ღდგომო სართეველი.

—:—

უნდა ჩავბერო ქამანჩას,
მოვმართო ჩემი სტვირია,
მას ვათქმევინო თამამათ
ვისაც რა სენი სჭირია;
თორემ ამდენხნის სიჩუმემ
ჯინჯილთ მოჭკიდა ჟანგია,
დიდიხანია არ ესმის
ნაცნობს ნაცნობი ჰანგია.
ხელში დავიჭერ წითელ კვერცხს
ყველას მიუძღვნი გულითა,—
გინდა მიიღონ, გინდ არა,
ხომ არ ვასაღებ ფულითა?!...

## რუსეთის „პარლამენტს".

ჯერ შენ გილოცავ აღდგომას
დიდო რუსეთის დუმაო,
ვერ გნახე წაღმა მბრუნავი
სულ უკუღმართათ ბრუნაო;
პურიშკევიჩებს ემონვი,
ბუჩკოვმაც დაგიწუნაო!..

## ოსმალეთის „პარლამენტს".

მერე შენ ნორჩო, ტიტანავ,
უმსხვერპლ-უსისხლოთ ნაშენო!
გისურვებ მომავალშიაც
უმჯობი აღმოაცენო,
რომ შენი ძენი ასულნი
შენკან მადლიერ დაშთენო!...

208/1909/2

## სპარსეთის შაჰს.

ვით შვენის შენსა სამეფოს
არ ჰქონდეს კონსტიტუცია?
ხომ იცი შენთვის წინაპარს
ანდერძათ გადმოუცია!?.
ურჩობ, არ გესმის ხალხის ხმა
მეხებრ მჭექარე, მგრგვინავე,
შენ კი?.. შენს ხალხთან ბრძოლისთვის
გვირგვინიც დაგირავე! ..

## სერბია — ბოლგარიას.

არა! შენ არ დაგამარცხეს,
განიცადა სულ სხვამ მარცხი,
რომ უკუღმა დაგიფარცხა
ბელტი. წაღმა დასაფარცხი!..
ვინც უკანვე დაიბრუნა
გამოწვდილი შენსკენ ხელი,—
ის დამარცხდა, ის დამცირდა,
შეირცხვინა კვლავ სახელი!“

## ავსტრო — უნგრეთს.

ბოსნია — ჰერცოგოვინა
კვლავ დაგმორჩილდა, შენია,
მაგრამ ეს მითხარ: სიამე
ბოლომდის ვის შერჩენია?!
მამის სახელის დამცრობას
არ შეგარჩენენ ძენია;—
ბევრჯერ გვინახავს „ძლიერსა“
„სუსტისგან“ ცრემლი სდენია!...

## მტკვარს.

კავკასიონის ქედიდგან
ნეტა რა დაგაბარესთ,—
ქვეყნის უკუღმა ტრიალი
ბარს ხომ არ დააბრალესთ?!..

## მეტეხის ციხეს.

ძველად მტრის დასამარცხებლათ
მძლავრათ გიცემდა გულია,
დღეს კი შენივე შვილები
შენ შიგან დამარხულია....

## ჩვენს ინტელიგენციას.

სიტყვით რახრახა — მაღალ ფრაზებით,
საქმით კი მკვდარი, არაფრის მარგი;
სცხოვრობენ სოფლათ და არკი ესმით
სოფლის წუხილი, მისი ავკარგი...

## მუშებს.

აქამდის მხოლოდ შეერთებაზე
ქვეყნის მუშების,— ყველა ჰყვიროდენ;
დღეს კი დაქსაქსვას, ურთერთის ღალატს
და თვალთმაქცობას კვლავ აპირობენ!..

## თბილისის პრესას.

„ჩვენი საქმე“ კვლავ იწყება,
„დროებამ“ ცრემლს მოუმატა,
„იალქანი“ ზღვაზე ჰქროლავს,
„ყანამ“ თავთავს დაუმჩატა.
„ივერიელთ“ არევიათ
გზა და კვალი და დავთარი,
„გოლოს კავკაზ“-ს პოგრომისთვის
სულ ღია აქვს სახლი, კარი.
„კავკაზმა“ ხმა ჩაიწმინდა,—
„ლისტოკისა“ სთხოვს დახმარებას,
„ზაკავკაზიე“ ბობოქრობს
აღარ მალავს აღსარებას;
მის „ნოვოსტს“ კი აღარა აქვს
არაფერი რამ სათქმელი;
„ლეტოპისეც“-ს გასწყდომია
სინიდისი და სახელი!...
„კურიერი“ კვლავ კურკურებს
დამურასებრ ორშაბათსა,
ეტრფის კოწრს „ივერიას“,—
არ ამჟღავნებს თავის თავსა!..

* * *

აწკი კმარა, ღამე ნებისს!..
შენც გაჩუმდი, ჩემო სტვირო!
ბევრი რომ გთქვათ,— ვაჰ თუ ბოლოს—
საქმე ისე გავიჭირო,
რომ მეც თქვენსა მორჩილ მონას
დამავიწყონ მთლათ აღდგომა,—
ბნელ საკანში ჩამამწყვდიონ,
მომივლინონ რისხვა წყრომა....

მიმინო.

რედაქტორ-გამომცემელი ლევ. დადიშქელიანი.

ელექტროტიპოგრაფია მ. დ. ჭიქნაძისა, ტფილისი. ელისაბედის ქუჩა № 17.